# ცისკარი.

## ქართული

### სალიტერატურო

### ჟურნალი.

1857

№ 5. მაისი.

ტფილისს.

# ცისკარი.

## ჲ

# ქართული

## სალიტერატურო

## ჟურნალი.

---

რედაქტორი ჲ გამომცემი ივ. კერესელიძე.

„თუ შეიყვარო სმენად, მიითვალო, ჲ უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე."
(წიგ. ისო-ზირ. თავი 6. მუხ. 54.)

1857 წლისა.

წიგნი მეხუთე.

მაისი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

## ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатанiи представлено было въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 1 Апреля 1857 года.

Исправляющiй должность Грузинскаго Ценсора Св. Алексѣевъ.

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

### პოეზია.

**ღჳთის მომღერალთ კაცთადმი.**

ჵ კაცო, მცდარო, გონით უმწიფრო!
როდემდის უნდა შენს ხვედრს ემდურო?
ვით ჰბედავ მალ-მალ მისსას ხსენებას,
რომლის წყალობით ჰსჭვრეტ ცჳვრ ბუნებას?
რად არ ხედავს ეგ ბოროტი თვალი,
რომე წრფელი არს მის სამართალი!
ყოველთ შემძლებლის ვით მალავიძს რჩევა;
ანუ ვით ბედის შენისა წყევა?...
სად იყავ მაშინ როს ქმნა ნათელი;
ერთ სიტყვით მოსა როს მწვანით ველი!
მაშ ენამ მყის რამ რად არ გაბედა,
ოდეს ვრცელი ცა ერთს წყუს გაჭედა.
თამამად იწყებს როს ნაკადთ დენა;
ჰაერში ფრინველთ-მშჳნივრად ფრენა!

დანსაცვფროდ ჰქმნა უღრმესნი ზღუანი,
გორანი, კლდენი, მაღალნი მთანი,
ჭალები, ღელე, ხეობა, ველი,
და დაწესა ესე ყოველი.
მთვარეს რქჳა ღამით ზე აღმოხდომა
და მზესა დღისით ქუეყნის მნათობა!...
ჵე კაცო! თუ რომ შეგეძლო რამე,
რად არ ურჩივე მცირედი რამე?
იქმნებოდა რა უხვებით არე,
თუ რამ შეგეძლო რად არ ეხმარე?
ნუ გრცხვენის, თავი ეგ ზე აღიღე,
ამის პასუხი აბა მომიგე!...
ოდეს ზაფხულის დღეს მიწის-მხვნელი
ხედავს, ცხარის მზით რომ ეწვის ველი;
სიცხით წყაროცა სრულებით შრება:
საბრალოს მწყემსსა პირი უშრება.
აბა თუ ძალგიძს, მივედ იხილე,
წვიმა მოეცი და გააგრილე!...
ოდეს ცხადი დღე უცებ იცვლება,
წვიმას სასტიკად ჰქონან დინება,
ჭექას ხომ მეტად გააქუს გრიალი,
ან როს ფრიადი არს ქარიშხალი:
შიშით თრთის ყველა, ქუა იყოს გინა;
ნუ მალავ, ვიცი, შენც მრწი მაშინა.
აბა თუ ძალგიძს, მაშინ რამ ბრძანე,
ეს ქუხჳა, ჭექა, უკუაყენე!..

ოდეს შეგქმნა მან, ან თჳთან შენცა,
რად არ ჰრქჳ სახე სხჳა-ვრივ მოეცა?
ჰე კაცო! გონით ნუ ხარ უძლური,
ჯ მაგ შენსა ხვედრს ნუღარ ემდური!
მან უკეთ იცის ჩუენზედ ყოველი,
ვინ რის ღირსი არს ყოთხამ ცხოველი,
მხოლოდ ეგ მდურვა ნურც თუ გაქჳს მცი-
რე,
მოწიწებით ღმერთის მადლი შესწირე!...
ივ. კერესელიძე.

## ცისკარი.

განთიადის ცისკარი,
თუმცა ბრწყინვალე არი,
მაგრამ ბინდის ვენერა,
იმაზედაც კარგი არი.
ეგრეთ ჩუენი ცისკარი,
არ არის არ ვის დარი,
ესეც ვუწყი, ყოველთჳს
სიბრძნის აქჳს ღია კარი.
იოს. ალმუროვი.

## ნუგეში გულისადმი.

ვით მგზავრი იყო უდაბნოს: უწყლოდ, უპუროდ
გდებული,

ყრუ ტყესა, უგზო-უკვლოსა, გულ-წყლული, დაზჭა-ებული,
ნუგეში არ სით არ გქონდეს, სულთქმიდე გაბასრებული,
მიხდილი სულ-იმედისგან, გულო! ეგრეთხარ გნებული.
რა გექმნას, გულო, ბედ-კრულსა, ვაებით გამწარებულსა,
რისა მძებნელსა, ვინ იცის, რა შეგხვდა შეჭირვებულსა,
ვით წარხდი, ან ვით დაითქვ, რა გექმნა განცვიფრებულსა,
ყოვლითურთ სასო წარკვეთილს... ვაჲგულო! შენებრ ვნებულსა!
თუ ვჰსთქვა: ვაება მოაღვა, უზომო და უკურნელი,
მით მაინც სრულად ვერ მოვსთქვამ, სიმწარით ხარ გაბასრული,
ურჩა, უწყალო-ტანჯვანი გაქვს, სულიც ვით განწირული,
რით დავჰსთმო ერთბამ ყოველი, ოხ გულო! ვითარ არს ძნელი...
გულო! ბრალი ხარ, თუ არ გაქვს ნუგეში ან ჲ იმედი,
ან ძნელად ჰპოვო საწადი: სხჳა სული, გული მომხედი.
ოდეს გინდ ჰპოვო, მით წარხდე. ახ! რა ცეცხლია ან ბედი?
მეის თავსა ეტყჳვ: ვაჲ გულო ცოცხლივ მიწასა ჩავხედი.
თუმცა იმედსა ეს მალუძს, მოგცემს ერთოდენ შვებასა;
გარნა, სიკეთის სანაცვლოდ, სიავე მოგკვეთს თმენასა,
საზღვარს დააგდებს საქვეყნოდ, თან განგაშორებს მცნებასა,

რით უდგრო, უძლო, საზრალოვ: გულო ვერ იტყვი
ყოველსა.
ოდესმე თჳთ ხარ მიზეზი, გჭირს ჟამს შფოთი,
ცვლილებანი,
ამად ჯერია, ჰმონებდე გონებას. არს მოსაწონი.
გონება საზღჳართ განგირჩევს: ესე ჰქმენ; და ისი
ნუ ჰქმნი,
და რაც გონებამ გაგონოს, უნდა ემონო, ნუ სჩივი.
გულო! ღმერთს ჰსთხოვე იმედი, წყალობა გექმნას
საკმარნი.
აღჰხედე ცასა, თუდა ჰსცნობ. მზე, მთოვარეა,
ვარსკვლავნი;
მოიქეც ცრემლით, თჳთ გულს ჰრქვი, ვინ გადმო-
ფენა მე ცანი?
მაშ მიხსნის ისევ ის ღმერთი! გულო, დაიპყარ
თმენანი.
რა თმენით დაჰსტკბე, უთუოდ წყნარ შეიქმნები
მჭმუნვარი,
მიხდილ დაღალულს გრძნობითა, ვაება გექმნას
მთმენარი.
მაშინ ხმას ისმენ, გულს ეტყვი. ჰსცან, მაღლით
ხმა არს ვითარი!
შენის მაგ ვაებისაგან მე ვარო მხსნელი ზენარი!
დაჰსწყნარდი, გულო! ასეა ამ სოფლად განწესებული.
ზოგი თუმცა ჰპოვებს საწადელს, ზოგიც არს დატო-
ვებული.
სხვისა ნუგეში სალხინო, სხჳას გულს აქუს სატი-
რებელი;
გარნა სრულ წარვალს, გაიგლის, ვით ჩრდილი
განქარვებული.

დამშვიდდი, გულო, იკმარე ეგოდენ მწუხარებანი!
საფლავში მაინც დაჰსტკბები არს: შენთჳს არ-და-
სანანი.
იქ განისვენებ, მორჩები, აქ რაც გაქჳს შენ დასაღონი,
ვიდრე ღჳთის სახე მიენდევ... არს ღმერთი!... ჰყავ
ჭკუა, გონი.
თ[illegible]ლი. ჩიქოვანი.

ოდეს ვსდევ ფიქრით წყლისა კიდესა,
ჩემად ჭმუნვისა მყის მიმხიდესა,
ვხედავდი მისსა მიმოსრბოლასა,
მდუმრიად ვლასა და განლტოლვასა.
იმ ჟამსა იყო მყუდროთა მხვლელი,
საამოს ხმითა ყურთ დამტკბობელი,
სევდათა მარად თან წარმდევნელი,
ჭმუნვარეს ფიქრთა დამავსებელი.
თვალთ ვერ სწრებითა იქმნა აღძრული,
მძაფრის ღელვითა განრისხებული,
უსამართლოთა აღზვაებული.
იქმნა მცირედ ჟამს განქარვებული,
ესრეთა ხედჳათ მიმცეს ოცნებას,
განკჳვირდი მისსა მსწრაფლ წარმავლობას,
მაშინ ვგრძნობთ მხოლოდ ღჳთის მრისხვანებას,
მსწრაფლიად მსჯავრსა და უბედობას.

ჰჳ შენ სოფელო, ცრუთი მყოფელო!
შენდა მკვიდროვანთ მყის განასრბოლო.
ოდეს ჰყოფ კაცთა ჟამ ერთს მადლობელს,
უმუხთლებ ქჳალად ჰყოფ, შენდა მრისხველს.

რად ხარ ესრეთი დაუდგრომელი,
ვითა ტაროსი მსწრაფლად შემცვლელი?
გვალად წამობით დაუდგრომელი,
გვსწყევ შენდა მომართ ესრეთ მუხთლობას.

კნიაჟნა სალომე მაყაევისა.

## მდიდარი.

ის არ არს მდიდარ, ვინც რომ მარად ჟამს
თჳნიერ შრომის არსებით პურს სჭამს;
ვისაც თჳსს ჭერ ქუეშ აქუს მოსვენება
და ხანდისხანაც თავის-უფლება.
ის არ არს მდიდარ, ვინც ცხრომით ბრწყინავს,
ვინც რომ სიცოცხლეს ატარებს ლხინში;
კახურის ძალით ამაყად გრგვინავს
და ტკბილს ოცნებას მთელის ძილში.
ის არ არს მდიდარ, ვინც რომ იხრჩვების
ვერცხლის და ოქროს ნაკადულშია;
ვისაც საუნჯე არ დაითვლების,
ხოლო სიკეთე არ აქუს გულშია.
ის არ არს მდიდარ, ვინც რომა ჰსწავლით
განივითარა თჳსი გონება,
რათა მტკიცეთა ამა იმედით,
წვლილად დაჰსტყუოს სხუათა ქონება.
ის არ არს მდიდარ, რომელმაც ღუაწლით
შესძინა თჳსს თავს ესე ქუეყანა;
ვინცა დიდება იყიდა ფულით,
იამპარტავნა მახლობელთანა.
სიმდიდრე ესე სრულად ფუჭია,

მას ამ სოფელსვე გამოხრის ჭია;
ხოლო სამარეს მოგველის ჩუენ სხუა:
გულზედან ლოდი, ორიოდ სიტყუა.
იგი არს მდიდარ, ვინც აზრით ვრცელით
შეერთოსნა თჳსი სული უკუდავი,
და სასარგებლოდ ქუეყნიერების,
სიმართლისათჳს შესწირა თავი.
იგი არს მდიდარ, ვინც ჰგონებს მარად,
რომ მონაგარი თან არ გაჰყუება,
ყველა პატივი, მოარულ ჩქარად,
სიცოცხლის კართან დაიმარხება.
იგი არს მდიდარ, ვისიც რომ კარი,
შეწუხებულთჳს არს მარად ხსნილი;
ვინც თჳსს ქონებას არის საკმარი,
და სხვის ბედისა არარს ნატრული.
ნამდვილ იგი არს მსოფლად მდიდარი,
იგი სულსაცა ცაში ამზადებს;
თუმცა აქ არ აქუს პური გამხმარი,
გარნა მუნ ყველას გადააჭარბებს.

გრ. რჩეულოვი.

## პირველი მაისი.

ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმან სხივი დაისო!
ესდენ ელვენ, მაის, დღენი,
ჰგავს, ბრწყინვდნენ ბევრი ბზენი;
მოჰქროლავს ყუავილთა სუნი,
ჭაგა ფშვნის სამაისო.

ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმან სხივი დაისო.
ველნი მცენარით ჭრელობენ;
ავრორის ცრემლით სუწდობენ;
მაისსა ჰხურავს მანტიად;
ზმუწნის მკრთვასად ცმა ისო.
ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმან სხივი დაისო.
ვარდი ჰკრთნობს მზისა ღიმილსა,
უხარის წმახნის წინწილსა,
კრთოლავს მოწის ფრად მზის შუქი,
აწ ახლად, შემდგომ, გაისო.
ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმან სხივი დაისო.
გესმისთ, თქუენ, ვარდის ჩურჩული,
ბროლ და ლალს ფერი უსული?
მწუანეს ფოთლების შრიალი,
ამას ხმობს ტურფად მაისო:
ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმან სხივი დაისო.
«ჩემი ტრფიალი ციალი,
«ალით აღვსილი ფიალი,
«გულსა დამეგზნას, არ მგამა,
«სხუა არა, მკლავდეს, მა, ისო.
ჩემო პირველო მაისო
გულს ვარდმან სხივი დაისო.
«დილით მილით განდვიმებულს
«ვსწუვეტ, ცრემლით თავს დასუწდებულს,
«მზე სხივთ წარმოხოცს, ზრუნუწლობს,
«ტრფიალის ზრუნუად კმა ისო.

ჩემო პირველო მაისო,
გულს კარდმან სხივი დაისო.
«მაისს ვსთხოვ, ჩემთჳს სამოთხეს,
«აღმიცენებდეს სამოთხეს,
«ვიშუწნდე მკრთოლჳარს სავანეს;
«კარვობდეს სუმბულ თმა ისო.
ჩემო პირველო მაისო,
გულს კარდმან სხივი დაისო.
«განვრიდებ ნათელს აროდეს;
«თუნდ შუქის დელჳა მძლავრობდეს;
«ვეთინათინო ცისკარსა,
«აღვაგზნო გული ჵ ისო.»
ჩემო პირველო მაისო,
გულს კარდმან სხივი დაისო!

თ. დ. მაჩაბელი.

# ნინო.

## სევდიანი ყმაწვილი კაცი.

ტფილისის ქალაქში, ოქრომჭედლების ქუჩაში, ერთი პატარა ბალკონიანი სახლი იყო. ამ სახლში, სკამზედ, ოცდა ორის წლის ყმაწვილ-კაცი იჯდა, ორივ იდაყვით სტოლს დაბჯენოდა და თავი კელებზედ ჰქონდა დანდობილი; მოგრძო თმა, მშვენიერათ, თითქმის მხრებამდის გარდმოჰფენოდა. ეს ყმაწვილ-კაცი ისე დაფიქრებული იყო, ამ სახლში თოფი რომ დაეცალათ ვერას გაიგებდა. მცირეს ხან შემდეგ ამ ყმაწვილმა თავი მაღლა აიღო, მშვენიერს წაბლის ფერის თვალებიდამ, ორმა მარგალიტის ოდენმა ცრემლმა ლოყაზედ გორვით ჩამოყარა, ერთი გულის საკლავათ ამოიოხრა და წარმოსთქვა: ღმერთო, ისეთი რა შეგცოდე, რომ ასე საშინლათ ვიტანჯებით!.....

ახლა ურიგო არ იქნება, რომ გსთქვათ, ვინ არის ეს ყმაწვილი კაცი, რამ მიახწევინა ამ მდგომარეობაში და ან რის ოხრვა და გლოვა ჰქონდა.

ამ ყმაწვილს სახელათ ალექსანდრე ერქო, ერთი ღარიბი თავადის შვილი იყო. შვიდის წლისა ობლათ დარჩომილი იყო, პატრონი აღარა ჰყვანდა და იყო ესრეთ სოფელში ვიდრე ათის წლისა შეიქმნებოდა. მაშინ, ამის ბედზედ, იმ სოფელში ერთმა შემძლებელმა რუსმა, გვარათ დობრინმა, მგზავრათ გაიარა, ეს ყმაწვილი ნახა და ძალიან მოეწონა, რადგან საკვირველი მოტიტინე და ლამაზი იყო. დობრინმა ალექსანდრეს ალერსი დაუწყო, ხილი აჭამა და ჰკითხა: რომ წაგიყვანო, ჩემთან წამოხვალო? ყმაწვილსაც

დობრინზედ ასე გული შეჰვარდა, რადგან დიდი ხანი იყო ალერსი აღარავისგან გაეგონა, რომ იმის სიტყვა არ იყარა. ალექსანდრეს გულის შემატკივარი ჲ დამშლელიც არავინა ჰყვანდა, გარდა ერთი განაყარი ბიძაშვილისა, რომელიცა ასე ჰფიქრობდა: ჯანაბამდინაც გზა აქვს, ვინც უნდა წაიყვანოსო, მე აქ აღარ მოვა ჲ მაგის წილი ყმა ჲ მამული მე დამრჩებაო!..... მარამ ალექსანდრეს ერთი ლალა ჰყვანდა, რომელიც ჰპატრონობდა ჲ უვლიდა ამას. იმ მსახურს სახელად თევდორე ერქო; ხანშესრული კაცი იყო ჲ ამასთან საშინელი ერთგული ალექსანდრესი, რომლიც მამასთანაც იყო შეზდილი. ამ თევდორემ რომ გაიგო რუსის სიტყვა, იფიქრა: ღმერთსა ვფიცავ, ეს ურიგო საქმე არ არისო, მოდი ჩემ ბატონიშვილს თან ვიახლები ჲ წავყვებით ამ უცხო კაცს რუსეთშიაო, იქნება ღმერთმა მიბრალოს ალექსანდრე იქ კაცი გამოვიდეს ჲ ღმერთი, ობლების ღმერთი, მტერს არ დააჩაგვრინებსო! — მართლა რომ ისეც მოხდა. — დობრინმა უმაწვილი თავს მსახურით თან წაიყვანა. პეტრებურღს რომ მივიდა, პატარა ალექსანდრე სასწავლებელში მისცა; უმაწვილმა საუცხოვოთ სწავლა დაიწყო, ასე რომ, თერთმეტს წელს შემდეგ, საუკეთესო ნასწავლი გამოვიდა.

აქ ალექსანდრეს გზა ჲ ბედი გაიხსნა. მარამ ერთი საწუხარი უბედურება ეს შეემთხვია რომ, იმისი კეთილის მყოფელი რუსი გარდაიცვალა; ალექსანდრემ მრავალი იტირა ჲ თავისს თავსმეორეთ დაობლებულსავით ხედავდა, რადგან დობრინი მამასავით უყვარდა. დობრინის შემდეგ, ალექსანდრე გულს ველარ იბრუნებდა ჲ მალმალ წავიდოდა ჲ იმის საფლავზედ რაოდენსამე საათს დაჰყოფდა, რაოდენიმე

ხანი გამოხდა, ერთს დღეს, ალექსანდრე დაფიქრებული იჯდა თავის სახლში; თევდორე შევიდა და მოახსენა: შენი თავის ჭირიმე, ჩემო ალექსანდრე, ბევრს ნუ ფიქრობ რაც დავკარგეთ იმას ვეღარ მოვეწევით, ახლა ჩვენს ქვეყანაში წავიდეთო. ალექსანდრემ მიუგო კარგათ ამბობ ჩემო თევდორე; მარამ ასეთი კაცი დავკარგე, რომ იმისი ცალი ქვეყანაზედ მგონიაო! თევდორემ: კარგი კაცი იყოვო, ღმერთმა აცხონოსო, მარამ, რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ქვეყანაზედ სიკვდილი წესიერია. შენ უფრო კარგი დედ-მამა დაგეხოცა, ახლა წავიდეთ, იმათი საფლავიც ვიტიროთო. ალექსანდრემ თევდორეს სიტყვა რომ მოისმინა, ასე იფიქრა: ჩემი ლალა მართალს ამბობსო, სწავლას ხომ მოვრჩი და სამსახური იქაც შეიძლებაო. ამ ლაპარაკის შემდეგ, ორ დღეს უკან, ალექსანდრე თავის ყმით საქართველოსაკენ გაემგზავრნენ და მეშვიდეს კვირას თავიანთ სოფელში მივიდნენ. რადგანაც ალექსანდრეს ბინა არა ჰქონდა, მღვდლისას ჩამოხტა, და მეორეს დღესვე დედ-მამის საფლავი აკურთხებინა. ამ ყმაწვილის მოსვლა მთელმა სოფელმა შეიტყო და ძალიან უხაროდათ, რომ იმ მამის შვილი კარგი რამ გამოსულა. მარამ რაკი ალექსანდრეს ბიძა-შვილმა შეიტყო ამისი მოსვლა, ძალიან შეწუხდა და მზათ იყო, რომ უარი ეყო და ეთქო, ეგ ალექსანდრე არ არისო. მარამ იფიქრა, ხალხმა ყველამ იცნო და მე ტყუილი შემაჩნდება! ადგა, მეორეს დღეს, მოვიდა ალექსანდრესთან, გარდაეხვია, ტყუილი წუწუნი შექნა და იმახლა: შენი ჭირიმე, პატარა მამიავ, რამოტელი კაჲი კაცი შექმნილი ხარ, სხვაგან რომ მენახე, ვეღარც კი გიცნობდიო. რა ამ ხვეწნასა და ტყვილს ალერსს მორჩა, სხვა და სხვა ამბავს ჰკითხავდა და ჰკვირობდა

ალექსანდრეს უცხოს ლაპარაკს დ~ ზრდილობას. იმას ასე ეგონა, ალექსანდრე ერთი ქარაფშუტა რამ იქნებაო, როგორც, ზოგიერთნი სხვანი რუსეთიდან გადმოსულნი ყმაწვილები; მარამ რა ნახა, რომ, ძალიანი ჭკვიანური მსჯელობა ჰქონდა, არ იყო რომ გულში შიში არ შეუვიდა დ~ მაშინათვე ალექსანდრეს ყმა დ~ მამულზედ ლაპარაკი ჩამოუგდო, სიცრუეს კელი მიჰყო დ~ ეუბნებოდა: რასაკვირველია, მამიავ, შენ არ გეცოდინება, რომ მამა შენს დიდი ვალი დარჩა, დ~ არც ეს გეცოდინება, რა რიგათ გარდავიხადე ის ვალი; ასე ვფიქრობდი: ალექსანდრე ობოლი დ~ პატარა არის მეთქი, ისწავლის, გაიზრდება, კაცი გამოვა დ~ ერთი ორათ გარდამიხდის მეთქი..... ალექსანდრემ მიუგო: გმადლობ, ჩემო ბიძავ, მე დარწმუნებული ვიყავ, რომ შენ ჩვენი ოჯახის ვალს გარდაუხდელს არ დააგდებდიო... ამასთან შემოსავალიც ხომ იქნებოდაო... მარამ ეს უნდა მოგახსენო, რომ მე ყმა დ~ მამულის მოვლის თავი არა მაქვს..... თუმცა სოფელი დ~ გლეხნი ძალიან მიყვარან..... მე სამსახურში უნდა შევიდე დ~ ყმაც დ~ მამულიც შენთჳს მომირთმევიაო. ალექსანდრეს ბიძა-შვილმა, რა ეს გაიგონა, თავბრუ დაესხა დ~ სიხარულისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. ალექსანდრემ კიდევ განაგრძელა: მე მხოლოდ ამას გთხოვ, რომ ერთი ორი ბიჭი ან მოახლე არ დამიჭირო, როდესაც დავიბარო. ამის გამგონე ალექსანდრეს ბიძა-შვილი წამოხტა, გარდაეხვია ამას, კოცნა დაუწყო დ~ წარმოსთქვა: რას ამბობ, ჩემო ალექსანდრე, —შენი ყმა დ~ მამულიკ დ~ ჩემიც შენი ჭირის სანაცვლო იყოს, მე არა მინდარაო!... ალექსანდრემ კიდევ თავის სიტყვა განიმეორა დ~ ამასთან სთხოვა,

ჩუჱნი სახლი მაჩვენეთ, აღარ მახსოვს, სად ვიდექით? ამ სიტყუჱაზედ ადგნენ და ალექსანდრეს მამის ნასახლართან წამოვიდნენ. რა ამან თავის მამის ნასახლარი დაინახა, ვეღარ იცნა, რადგან კედლების მეტი აღარა დარჩომილი იყორა, მხოლოთ ის ბედნიერი დროება თვალ წინ წამოუდგა, რომელსაც უმაწჳლი იყო და იმ სახლთან მხიარულათ და უზრუნველათ დარბოდა ხოლმე. მოიგონა მამის მშვენიერი მამაცური მოყვანილობა, ცხენზედ ჯდომა და ჯირითი; მოიგონა იმისი მხნეობა, სამართლიანობა, რომელსაც გლეხნი თავის საქმეს შესჩიოდნენ; მოიგონა დედის ალერსი, ერთის სიტყვით, ყოველი საგანი: ხე, მთა, წყალი, მინდორი, მოაგონებდა თავის სიყრმეს და ამასთანვე ობლობას... ყოველი ფერი სიზმარივით თვალ წინ წამოუდგა, გული ამოუჯდა და უმაწვილივით ტირილი დაიწყო. ამისმა მაყურებელმა, თევდორემაც ქვითი-ქვითი შექნა, ამას უფრო ბევრი რამ მოაგონდა.....

მეორეს დღეს ალექსანდრემ თევდორეს დაუძახა და უთხრა: ჩემო თევდორევ, ჩუჱნ აქ საქმე აღარა გჳაქს, ახლა ქალაქს წავიდეთ, მე იქ სამსახურში უნდა შევიდეო. თევდორეს ასე უყუარდა ალექსანდრე, იმას რომ ეთქო დაღისტანში გადვიკარგნეთო, უარს ვერ ეტყოდა, და ამისთჳსაც ალექსანდრეს მოახსენა: ოღონდ შენ ცოცხალი მყვანდე და სადაც შენ იქნები, მე შენი მონა ვარ, შენ ფეხქუჱშ მოჳკდებიო!

ალექსანდრე და იმისი ლალა ქალაქში მოვიდნენ. რასაკვირველია, თბილისი პეტრებურღთან აღარათ ეჩვენებოდა; მარამ ცხადათ ჰხედავდენ, რომ თბილისი მრავალს რუსეთის ქალაქებს სჯობდა: შენობით,

ხალხის სიმრავლით დ̃ მდებარეობით. აქ ალექსანდრე მცირეს ხანს შემდეგ სამსახურში შევიდა, მრავალი კარგი ხალხი გაიცნო, ყველანი ეპატიჟებოდნენ, რადგან ყველას ასე შეაყვარა თავი, ტკბილის ლაპარაკით დ̃ მხიარულებით, რომ სადაც ის არ მივიდოდა, იქ რიგიანი შექცევა აღარ იყო ხოლმე; ერთის სიტყვით ალექსანდრე სული დ̃ გული შეიქნა თბილისელების საზოგადოებისა!... ალექსანდრეს რაოდენჯერმე მოციქულებიც მოუგვიდნენ, — მდიდარი ვაჭრების ქალები ეძლეოდა დ̃ დიდს ფულს ჰპირდებოდნენ, მარამ ყველას სიცილით ეუბნებოდა: მე არც ცოლის ყადრი ვიცი ჯერ დ̃ არც ფულისაო; მე აღთქმა მაქვს ოცდა ათ წლამდის ცოლი არ შევირთავო, დ̃ ამისთჳს გირჩევთ სხვა სასიძო მომებნოთო; თორემ რვა წლიწადი ქალმა მომიცადოს, თითონაც დაბერდება დ̃ მეც დამაბერებსო... ამით თავიდამ მოიშორებდა ხოლმე ყოველს მოციქულს.

გაზაფხული იყო, ტყე დ̃ მინდორი ამწვანდა, მფრინველთ გალობა დ̃ სტვენა ყურსა დ̃ გულსა ატკბობდა. ერთს მაისის კვირა დღეს მშვენიერი დარი იყო; ქებულამიანთ ბაღში დიდი შეყრილობა ჰქონდათ, მრავალი ქალი დ̃ კაცი მიეწვიათ დ̃ რასაკვირველია ალექსანდრეც იქ იყო დაპატიჟებული. ძალიან მხიარულება იყო დ̃ მასთან ლეკურის თამაშობა. მრავალთ მშვენიერთ ქალთ მშვენიერად ითამაშეს; შემდეგ ერთობ ხმიანობა შეიქმნა: ნინო ათამაშეთო; ნინო, ნინოვო!... აქ ერთი ქალი წამოაყენეს, პირის ფერი კაბა ეცო, ტანათ მაღალი დ̃ ძალიან წვრილი იყო, დიდროვანი შავი თვალები ბრილიანტივით ნაპერწკლებს აფრქვევდა, მაღალი შუბლი დ̃ ცისარტყელასავით მოხრილი წარბები

უხატავდა უცხოდ სწორე ცხვირს და ფუნთუშა ლო-
ყებს. ეს ქალი იყო ნინო, რომელსაც ეძახდნენ.
რამწავ წინ წამოდგა, მკლავები ნაზათ და მოხდენით გა-
შალა და მაშინათვე ქარიშხალივით, ცქვიტად ერთი პირი
ჩამოუარა. თავი ასე ამაყად ეჭირა და პირისახეზედ
ასეთი უმანკოება და სინაზე ეწერა, რომ, ყველანი
უნებურათ იძახდნენ: ღმერთს ვფიცავ, ანგელოზი
ამაზედ მეტი აღარ იქნებაო! ალექსანდრეს, ამის
მეტათ ჯერ ნინო არ ენახა. რამწავ ეს ქალი და-
ინახა, გულმა ხტომა დაუწყო, საშინლათ ათრთოლდა
და შუბლზედ ოფლი იტკცა, მარამ თვალთ დაუბნელდა
და ასე გაუფითლდა, რომ ამის ახლო მდგომნი მიე-
ხვივნენ და ჰკითხავდნენ: ალექსანდრე, რა დაგემართა,
ავათ ხომ არა ხარო?... ალექსანდრე, მცირეს ხანს
შემდეგ მობრუნდა, თვალები მოიფშვნიტა და წამო-
სთქვა: არაფერიო, დამცხა და მისგან არისო.....
შემდეგ აქეთ-იქით დაიწყო ყურება და ეძებდა იმას,
ვინც იყო მიზეზი ამის აღშფოთებისა, მარამ,
ნინომ ლეკური გაათავა და ქალებში გაერია და ისინიც
ფუტკარივით გარს ეხვეოდნენ, რადგან ყველას სა-
ყვარელი ქალი იყო.—აქ ილექსანდრემ ერთს ყმა-
წვილს კაცს ჰკითხა: ის ქალი ვინ იყო, აქ რომ
ბოლოს ლეკური ითამაშაო? იმან ჩაიცინა და ჰკითხა:
ხომ არ გაგაბაო?... ეგ ქალი სალამაძიანთ ნინოაო.
ალექსანდრემაც სამჯერ განიმეორა. სალამაძიანთ
ნინოვო..... შემდეგ მიუბრუნდა იმ ყმაწვილს კაცს
და სთხოვა, გამაცანიო. იმან უპასუხა: ყმაწვილო,
ამ ქალებს როგორ გავატანთ, ორი დღე რომ
იტრიალო, ახლო ვერ მიეკარებიო.—წვეულება
დაიშალა,—ყველანი წავიდნენ, წამოვიდნენ, ალექ-
სანდრეც გამოვიდა ბაღიდამ და თავჩაღუნული შინ

მოვიდა, ორი დღე არა ჭამარა და არცა სმინებია, ამიტომ რომ სასმელ-საჭმელი და ძილი ფიქრათაც არ მოსვლია..... ამ ყმაწვილს ასეთი ისარი გაჰყროდა გულში, რომ იმისი სიმწარე ყველას დაავიწყებდა. ალექსანდრეს ის შექცევა ძრიელ ძვირათ დაუჯდა...... წვეულების მესამე დღე იყო, ალექსანდრე ქუჩაში მიდიოდა, აქ სოლომონ საინოვი, ამისი კარგი მეგობარი და ამხანაგი შემოეყარა, დიდხანს უყურება დაუწყო და შემდეგ ჰკითხა: ყმაწვილო, ეგ რა დაგმართვია, სახიდან სულ მოშლილიხარო. ალექსანდრემ, შეუძლოთა ვარო, მარამ მე ჩემი თავი აღარ მახსოვსო .... ერთი მითხარ, თუ იცი, სალამამიანი სადა დგანანო? სოლომანმა უპასუხა, გარეთუბანს გადი და იქ ბალღსაც რომ ჰკითხო, ისიც გასწავლისო, კითხვის კითხვით კაცი ისპაანს მივაო და შენ იმ სახლს როგორ ვერ იპოვიო, რომელშიაც, ასეთი მზეთუნახავი სცხოვრებს, რომ იმასთან ჯოჯოხეთშიაც რომ ვიყო, იქაც გამეძლებინებაო. ამ ლაპარაკს, ალექსანდრემ, ყური აღარ ათხოვა, თავის მეგობარს კელი ჩამოართო და გარეთუბნისაკენ გასწია. აქ, მართლაც, ერთმა პატარა ბიჭმა სახლი დაანახვა და უთხრა: იქ დგანანო. სალამამიანთ სახლი გვერდზედ იდგა, მარამ უცხო ალაგი იყო, წინ ბაღჩა ჰქონდა და მთელს ქალაქს თავს დასცქეროდა. ალექსანდრემ ამ სახლს რამთენჯერმე აუარ ჩაუარა და თავ ბედისა ვერა გაიგორა. მოდი ალაყაფის კარებში შევალო? მარამ თვითონაც არ იცოდა, რისთჳს შევიდოდა და ან რასა ნახვდა. ამ ჟამად ნინო და ამის მოხცუბული დედა ელენე, შინ იყვნენ. ელენე კუთხეში იჯდა და კრიალოსანს ათამაშებდა, თავჩაღუნული. ელენე, ათი წელიწადი იყო, რაც

დაქვრივებული იყო ჲ მასაქეთ ფიქრიანობა დასჩემოდა, რომლითაც სიბერე მოუსწრაფდა. ელენეს ქვეყანაზედ ერთი სანუგეშო ნინოდა ჰყვანდა, რომელსაც შეჰხაროდა ჲ ანებივრებდა. მართლა ნინო, ღირსი იყო ნებიერობისა. ჩვიდმეტის წლის ქალი იყო ჲ დედისათვს ერთი ურჩი სიტყვა არ ეთქვა. ახლანდელს ქალებს კი არა ჰგვანდა! მარა, გასაკვირველიც არ არის ნინოსაგან დედის მორჩილება, ამიტომ რომ, დედამ, ნინო, ღჳთის მოყჳარეობაში, ძველებურათ გაზარდა. ნინო შვიდის წლისა ობლათ დარჩა; მერვეში რომ ჩადგა, დედამ კითხვას ჲ წერას მოაყოლა, შემდეგ ერთი დიაკვანი ასწავლიდა. ჯერ დავითნი გაათავა, შემდეგ სამოციქულო ჲ სახარება, ასე რომ, როდესაც თხუთმეტისა შეიქმნა, სამღთო წერილი უცხოთ იცოდა, რომელმანც, ღმრთის სიყჳარული ჲ სჯულის სიწმინდე გულში დაუნერგა; ხოლო თექსვმეტის წლისას მისცა ნება დედამ, ვეფხვის ტყაოსნის კითხვისა, ჲ ერთს წელიწადზედ, ნინომ თითქმის ზეპირათ იცოდა, სრულათ. გარდა ამისა მრავალი სხჳა ჲ სხჳა საერო წიგნები წაიკითხა, ამასთან ნინომ კარგათ იცოდა კელსაქმე, ნარდი, ჭადრაკი ჲ ლეკურის თამაშობა; უცხო ზდილობიანი ქცევა ჰქონდა ჲ ტკბილი მოლაპარაკე იყო, ერთის სიტყვით, ეს ქალი ქართველურათ კარგათ იყო გაზდილი ჲ ევროპიულისა კი მეტი არა იცოდარა, გარდა თამაშობისა, რომელიც კიდეც უნდებოდა. თამაშობის მიზეზიც ეს იყო, რომ, დედა ანებივრებდა, ჲ ამ თამაშობასთან, საკვირველი მხიარულიც იყო, ასე რომ, ნინოსთან არა ადამიანს არ მოსწყინდებოდა, მოხუცებულსაცკი აიყოლებდა ხოლმე ჲ თითონ ბეპელასავით დაუდგრომელი ჲ ცქრიალა იყო,

მარამ რაკი მეჩვიდმეტე წელიწადში გადადგა, სან-დისხან უნებურათ ჩაფიქრდებოდა, გულს რაღაცა სევდა მოაწვებოდა და თითონაც არ იცოდა რა მიზეზი იყო, თუმცა ჩვიდმეტის წლის ქალისა, გინა კაცისათჳს ფიქრიანობა ცხადი არის.....

ნინომ ფიქრს უფრო მოუმატა, მას შემდეგ, რაც შებუდამიანთ ბაღში წვეულება ჰქონდათ. იქ, ნინომ, ალექსანდრეს თვალი მოჰკრა, ღიდათ გაწითლდა და მთელმა ტანმა ჟრჟოლამ დაუწყო; გულში ერთმა ტკბი-ლით მწველმა ნაპერწკალმა გაუარა, რომელსაც ჩვენს მდაბიურს ენაზედ, უხმობენ სიყვარულად. იმას აქეთ, ნინოს, დღისით და სიზმარში, ალექსან-დრე სულ თვალ წინ ედგა და ისიც არ იცოდა რომ ეს ყმაწვილიც იმისი მლოცავი შექმნილ იყო!

მაშინ, როდესაც ალექსანდრემ ალაყაფის კარებ-ში შესვლა დააპირა, ამ დროს ნინო შინ დაფიქ-რებული იჯდა, წამოდგა და იმ ფანჯარაში დაჯდა, რომელიც ეზოში გადმოსცქეროდა; აქ ალექსანდრე კარებში შევიდა, ნინომ რომ დაინახა, ერთი უეცრათ შეჰკივლა, ასე რომ ალექსანდრემ, ამ ხმის გამგონემ მაღლა აიხედა, იქ რომ ქალი დაინახა, ჩაკიდებუ-ლივით, ერთს ალაგს შედგა და აღარ იძროდა. ნინოს კივილი ელენემ ვერ გაიგო, თორემ ერთს არეუ-ლობას მოახდენდა. აქ, ნინო რომ გონებას მოვიდა, ძალიან შეწუხდა, რაზედ დავიყვირეო. მცირეს ხანს შემდეგ, ალექსანდრეს გადმოსძახა: ყმაწვილო! ვინა ბრძანდებით, ან ვინა გნებავთო? ალექსანდრემ ხმა ვერ ამოიღო. ნინომ კიდევ გადმოსძახა: თუ დედას ეძებთ, მაღლა ამობრძანდითო. ალექსანდრემ, ამისმა გამგონემ, მაშინათვე კიბეზედ აირბინა, აქ წინ ნინო მოეგება და ჰკითხა: ვის ეძებთო? ამან უპასუხა: ეს

სამი დღე არის, ერთს ბაღში, მშვენიერი ყჳავილი ვნახე, რომლის შვენებამ ლამის გამაგიჟოსო. აქ მოველ და შენ გიხილე, ჩემო ყვავილო! ნინომ, რა ეს გაიგონა, თავ-პირი აეტკრიცა და წარმოსთქვა: არ ვიცი ვინა ბრძანდები, ჭკუიანი, თუ გიჟი, მხოლოდ ამასა გთხოვ, აქედან წაბრძანდე და ჩუჱნი მშვიდობიანობა არ შეარყიოთ. დედა-ჩემმა, რომ გაიგოს ეს ანბავი, ერთს ყოფას დამაწევსო! ნინოს უნდოდა, რომ შინ შესულ იყო, ამ დროს ალექსანდრემ შეუძახა: ღმერთს გაფიცებ, ერთი სიტყვა მოისმანეო! ნინო მობრუნდა და წარმოსთქჳა: ბრძანეთ. ალექსანდრემ მიუგო: ეს სამი დღე არის, შენს მეპნაში ვარ, შენმა სიყჳარულმა გამაგიჟა, ახლა ძლივს გიპოვე და შენ აქედან გაგდებას მიპირებ; დამბადებელსა ვფიცავ, თუ შენ ნებას არ მომცემ, რომ დღეში ერთხელ მაინც დაგინახო, ჩემს თავს შენის ჴელით მოვიკლავ და ცოდო შენი იქნებაო! ნინოსაც რასაკვირველია ალექსანდრე უყჳარდა მას შემდეგ, როდესაც ბაღში პირველათ ნახა, მარამ მსწრაფელმა შემთხვევამ ასე გაასტერა და გააბრუა რომ, ფეხზედ ძლივსღა იდგა. რა ალექსანდრესაგან ეს სიტყვები გაიგონა, გულმა ფრუოლა დაუწყო, თავბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა და ძლივსღა წარმოსთქჳა: ღმერთს გაფიცებ, უმაწვილო, წადი, წადი აქედან, მე შენი არა მესმისრაო!... ამ სიტყჳაზედ გაბრუნდა, კარები ძლივსღა გააღო, წაქცევას ლამოდა, მივიდა და მდივანზედ მიესვენა. აქ ალექსანდრე გასტერებული დარჩა, რამდენსამე ხანს იდგა; ბოლოს, ნახა რომ გვერდით აღარავინ უდგას, თვალებზედ ჴელი დაიფარა, გამობრუნდა, კიბეზედ მარდათ ჩამოირბინა და გიჟივით სირბილით

შინათვენ გამოსწია. იმ ღამეს, არც ნინოს და არც ალექმანდრეს ძილი არ მოჰსვლიათ. მეორე დღემაც ფიქრში და ოხრვაში განვლო, ორის მხრითა. მესამეს დღეს ალექსანდრემ ვეღარ მოითმინა, გარეთუბნისაკენ წამოვიდა და სალამამიანთ სახლს რომ მოახლოვდა, ფანჯრებს ყურება დაუწყო. ამ დროს ნინო, ქუჩის მხარეს, ფანჯარას იჯდა; ალექსანდრე რომ დაინახა, ძალიან იამა, ადგა და ბაღში ჩამოირბინა. ალექსანდრემ იფიქრა, ნინომ კიდევ თავი მომარიდაო მარამ, რა რიგათ გაიხარა, როდესაც ნინო დაბლა დაინახა; ალექსანდრე მაშინათვე ბაღჩაში გადვიდა და უნდოდა ნინოს მოჰხვეოდა, მარამ ნინომ ეს თავისუფლება შორს დაიჭირა. ალექსანდრემ იფიქრა ნახვაც რომ მადირსა, ჩემთჳს ესეც ბევრიაო, ამ ფიქრის შემდეგ წარმოსთქჳა: ჰეი მშჳვენიერო! დღესაც რომ გუშინდელისავით მომშორობოდი, არ ვიცი ჩემს თავს რას უზამდიო! ნინომ ჩაიცინა და უპასუხა: გუშინ მე თითონ არ ვიცოდი, ჩემს თავს რა ამბავი იყოვო. ალექსანდრემ წარმოსთქჳა: აქ არავინ დაგვინახოს, დავსხდეთ სადმეო. მახლობლად გვერდზედ ალუბლები იდგა, მივიდნენ ნინო და ალექსანდრე და იქ, მწვანეზედ დასხდნენ, ერთმანეთის ალერსსა და ტრფობაში იყვნენ, ერთმანეთისა ვინაობა და ამბავი გამოიკითხეს. შემდეგ ალექსანდრემ წარმოსთქვა: ჩემო სიცოცხლევ, რაც შენ გნახე, მას აქეთ ჩემი ფიქრი და ცხოვრება შენ შექმნილ ხარ. ეს კი არ ვიცი, შენც გიყჳარვარ თუ არაო? ნინომ მიუგო: მე ჩემს დღეში არ მოვიფიქრებდი, თუ ისეთი კაცი გამოჩნდებოდა, რომ მე შემიყჳარდებოდა, ჩემს გულში დედის სიყჳარულის მეტი არა აიჩქროლდებდარაო..... აქ სიტყვის შემდეგ, ნინო

საშინლათ გაწითლდა, ორი ცრემლი გადმოჰვარდა და ასე სთქვა: ერთი დღე იყო..... არ ვიცი, ის დღე უნდა ვწყევლო, თუ ვლოცო..... იმ დღემ გულს ერთი დაღი დამასო, რომლის მორჩენა, არა-ვის არ შეუძლიან, გარდა ერთი ყმაწვილ-კაცისაო... აქ ნინომ ლაპარაკი გაწყვიტა და თვალებზედ ჴელი დაიფარა. ალექსანდრე ამისი გამგონე, საშინლად შენინდა და აჩქარებით ჰკითხა: ვინ არის ის ყმა-წვილი კაციო?... ნინომ ერთი გულის საკლავად ამოიოხრა და წარმოსთქვა: შენაო;..... ამ სიტყვაზედ ალექსანდრეს ასეთი სიამოვნების ზარი დაეცა, რომ კინაღამ თვალთ არ დაუბნელდა..... ნინოს ჴელი გადაჰხვია და ასე ტკბილად დაჰკოცნა, რომელმაც, ორთავ, ელვასავით გულში დაუარათ და გადაავიწყდათ ქვეყანა არის სადმე, თუ არაო. ამ დროს ნინოს თვალებში, ასეთი ცეცხლი ეგზნა, რომ მრავალის ადამიანის გულს შეწვიდა. რა ალექსანდრემ კოცნაზედ ჴელი აიღო, ნინომ წარმოსთქვა: ალექსანდრე, ასე უნდა იცოდე: მე დედის ჩემისა ასეთი შიში და კრძალვა მაქვს და ასეთი სიყვარული, რომ ეს ამბავი იმან შეიტყოს, ვგონებ ჩემის ჴელით თავი მოვიკლაო, და ამასაც გეტყვი: ჯერ ქვეყანაზედ ადამიანი არ გამოსულა, რომ ჩემს ლოყას მოჰკარებოდესო და ეს მსხვერპლიც შენ შემოგწირეო! შემდეგ დაუმატა: სიყვარულმა დამძლია და ეს თავი-სუფლება გამაბედინაო. ამ სიტყვაზედ წამოდგა და უთხრა: მშვიდობით, ხვალამდისაო!... აქ ერთმანეთს გამოესალმნენ და თავ-თავის ალაგს წავიდნენ.

რადა გავაგრძელოთ, — ნინო და ალექსანდრე, ყოველ დღე ერთმანეთს ნახვიდნენ ხოლმე ბაღჩაში. ერთს დღეს ალექსანდრემ ჰკითხა ნანოს: როდამდის

უნდა ესე უმაწვილურათ ვიმალოთ? მოდი დედა-შენს კაცს მიუგზავნი, რომ შენი თავი მომცესო. ნინომ: მაგას ნუ იქ, შენი ჭირიმე, თორემ, დედა გამიჯავრდება. ალექსანდრეს საშინლათ გაეცინა ნინოს უმაწვილურს სიტყვაზედ და წარმოსთქვა: აქ გასაჯავრებელი არ არის, — ერთხელ ხომ უნდა გაგათხოვოსო? ნინომ კიდევ უპასუხა: არა, დედა მე არ მომიშორებსო: ალექსანდრემ. მაშ თითონ როდესაც გათხოვდა, დედ-მამას არ მოშორდაო?

ალექსანდრე ცხადათ ჰხედავდა, რომ ნინო, ამ გვარს ლაპარაკისათჳს; ჯერ უმაწვილი იყო. მცირეს ფიქრს შემდეგა თქვა: ნინო, შენ ოღონდ ჩემზედ სიყვარულს ნუ შესცვლი და სხვისა მე ვიციო.

მართლათ, რამდენსამე დღეს უკან, ალექსანდრემ ერთი თავის მამის მეგობარი, ფრიდონ რბილაძე, დარბაისელი თავადი-შვილი, მიუგზავნა ელენეს და ქალი სთხოვა. რა ელენემ ფრიდონის ლაპარაკი მოისმინა, დაფიქრდა და შემდეგ წყნარად წარმოსთქვა: ბრძანებ ბატონო, დიახ უცხო სწავლულს უმაწვილს აქებენ, მარამ, სწორეს მოგახსენო, ჯერ არის და დარიბია, მერმე გამოჩენილი გვარი არა აქვს; მერცხალაძე სად გაგიგონია, მამი შენის მზეს, გამოჩენილს თავადათაო? ეს უკანასკნელი სიტყვა ეწყინა ფრიდონს და წარმოსთქვა: უკაცრავათ კი ნუ გახლდებით, რომ ცოტა თავის-უფლათ ვილაპარაკოვო, რადგან ნათლიები ვართ და შენის ოჯახის ბედიერება მინდა. არა! შეკურთხეული-შვილო, თქვენ გვარში თითო სულელი არ დაილევა! მაგას როგორ ბრძანებ, მერცხალაძიანი გამოჩენილნი თავადნი არ არიანო; ცხონებული სულხან იყო, ალექსანდრეს პაპა, და პირველი კარის კაცი იყო და ორ მეფე-

სთან ნამსახური და ჩინებული საქართველოში, შვილი ეგ არის და ახლანდელის დროის მიხედვით, კარგი მსწავლულია, და თუ ამას ბრძანებ რომ, ბევრი ფული არა აქვსო, — მე და შენ რაღა საზინა გვიბრუნავს... ერთი მიბრძანე, კურთხეული მამიშენის თევდორეს მზესაო! — ელენე დიდხანს დაფიქრებული იჯდა და შემდეგ უპასუხა: მართალია, ჩემგან თავადის-შვილს ქალი კი არ დაეჭირება, მაგრამ დაღონება ეს არის, რომ გუშინაც მოციქული მომივიდა და უარი ვეღარ უთხარ, და ახლა ჩემს სიტყვას არაოდეს არ შევცვლიო. ფრიდონმა: გუშინ სხვამ კაცი მოგიგზავნა, დღეს მე ნიშანს მოგართმევ და საქმე გარდავსწყვიტოთო. ელენემ ძალიან შორს დაიჭირა ეს სიტყვა, ასე რომ, ფრიდონ გაცეცხლდა და შეუძახა: კარგია, ნათლი დედავ, ნუღარ სწუხდები, საჭირო არ არის შენი გომბიო ქალი, ვნახავ ვისაც უკეთესს მისცემო! ელენემ ამ სიტყვაზედ საშინლათ შეჰყვირა. ეი შენ ჩემო თავო! ჩემი ნინუცა გომბიო რათ იქნებაო! აქ ფრიდონ გარეთ გამოვიდა და კარები ძალიან მიანარცხა გაჯავრებულმა. ელენემ მრავალი უშვერი სიტყვები მიაყოლა უკან. ფრიდონ, ამ შემთხვევით, ასე გაცეცხლებული იყო, ლომს რომ შეჰხვედროდა, ასე არ შეეშუებოდა როგორც პატარა გოშიასა. რა შინ მოვიდა, ორი დღე კარში აღარ გამოსულა, და არც ალექსანდრეს შეატყობინა ეს ამბავი, რადგან ძალიან შეაწუხებდა.

ელენემაც იფიქრა: ფრიდონ ერთი ხათაბალა კაცია, საქმე არა გადამირიოსრაო, ისევ სჯობს ნინოს საქმეს შეუდგეო. იმავ დღესვე ქვრივი ელისაბედა დაიბარა და მოციქულათ გაგზავნა ლევან გორდამესთან, რომელიც კარგის გვარის კაცის შვილი იყო

და დიდის ყმა და მამულის პატრონი, მარამ საშინელი მხეცი და გარყვნილი. ელენე დიდს კაცობას და სამდიდრეს ემებდა და საქმეც გაურიგდა, ასე რომ, ორ დღეს უკან ქორწილის თადარიკს შეუდგა და მალიანაც დაასშურა.

ნინუცას გათხოვების ხმა, მთელს ქალაქში მოიფინა, მარამ ჯერ ალექსანდრეს არ შეეტყო, რომელიც ასე ფიქრობდა: უთუოთ ფრიდონ ჯერ სალამამიანთა არა უოფილა, თორემ აქამდინ ამბავს შემატყობინებდაო. ამ მაზეზით ალექსანდრე გულ დინჯათ იყო. ერთს დღეს, დილით, ქუჩაში მოდიოდა. აქ თავის მეგობარი სოლომონ საინოვი შემოეყარა და შორიდანვე შემოსძახა: ახალი ამბავი არ გაგიგიაო? ალექსანდრემ: არა ვიცირაო. სოლომონმა. სალამამიანთ ლამაზი ნინო ხვალ ჯვარს იწერსო, ალექსანდრემ განცჳფრებით ჰკითხა, როგორ ჯვარს იწერსო? სოლომანმა გაიცინა და უპასუხა: არ იცი, ქალი ჯვარს როგორ დაიწერსო?.... თუ გინდა ხვალ წავიდეთ და ჯვარის წერას უყუროთო. ალექსანდრემ კიდევ აჩქარებითა ჰკითხა: ვიზედ იწერს ჯვარსა, რატომ მე არ ვიციო? სოლომანმა უპასუხა: ამიტომ არ იცი, რომ ჯერ მაწვევარი არ მოგსვლიაო, და სწორე გითხრა, ლევან გორდამე ბედნიერი უმაწვილი კაცი არის, რომ იმისთანა ქალს ირთავსო. ამ სიტყუაზედ ალექსანდრეს თავბრუ დაესხა და მუხლები მოეკეცა, გადაქცევას ლამოდა... ამ მზის გამგონეს, მეხი რომ დასცემოდა, ის ერჩივნა, მარამ ალექსანდრეს არ უნდოდა სისუსტე გამოეჩინა; თავი შეიმაგრა და მღივსდა წამოიბუტბუტა: მშვიდობით, სოლომონ, არამცალიანო და აჩქარებული და გულ მოწყვეტილი ფრიდონისაკენ

წავიდა. აქ კარებთან ფარიდონის ბიჭი დახვდა, ალექსანდრემ ჰკითხა: ბატონი შინა ბრძანდებაო? ბიჭმა მოახსენა: აქ არ გახლავთო. ალექსანდრემ: მაშ სადარიო, სალამამიანთსა ხომ არ წაბრძანდაო? ბიჭმა კიდევ მოახსენა: ბატონი სალამამიანთსა გუშინწინ ბრძანდებოდა, იქიდგან გაჯავრებული მობრძანდა, ორი დღე შინიდან კარში არ გამობრძანებულა და დღეს დილით სოფელში წაბრძანდაო. — ალექსანდრემ ახლაღა დარწმუნა გული ნინოს გათხოვებაზედ და მიჰხვდა ყოველს ფერს. აქედგან გამწარებული შინ მოვიდა, მდივანზედ დაეცა, ჯერ უმაწვილივით მრავალი იტირა, შემდეგ წამოჯდა, სტოლს დაებჯინა და მალ-მალ ოხრავდა. ეხლა იმ მდგომარეობაში იყო ალექსანდრე, რომელსაც პირველად ჩვენ გავიცანით ამ ამბის დასაწყისში და რომელსაც გამწარებულმა წარმოსთქვა: ღმერთო, ისეთი რა შევცოდე, რომ ასე საშინლად ვიტანჯებიო!..... ალექსანდრე რომ ამ ყოფაში იყო, ამ დროს თევდორე შემოვიდა. ბატონი რომ შეწუხებული და მოტირალი დაინახა, თავი გაიქნია და წარმოსთქვა: რა არის ალექსანდრე, შენს გაზდას, რატომ არ შემატყობინებ?... ეს რამდენიმე დღე არის სულ დაღონებული დადიხარ და ეხლა მომტირალსა გხედავ!... მამი შენის საფლავის მზემა, თუ არ გამხიარულდები, ან არ შემატყობინებ რა შეჭირვება გაქვს, ჩემს თავს ერთს რასმე ავუტეხ..... ამ მოხუცებულს ნუ ამამაღლებო!... ალექსანდრემ რომ თევდორეს სიტყვები მოისმინა, უპასუხა: ჩემისთანა უბედური კაცი, ვგონებ ქვეყანაზედ არ იყოსო:.... თევდორემ, რა ამბავიაო? ალექსანდრემ მიუგო: ეხლა რაღა ვთქვა, როცა ყველა დავკარგეო!..... მარამ ერთი უნდა გაისარჯო:

პატარა ბარათს გაგატან, გარეთუბანს გადი, იქ სალა-მაძიანთ სახლი იკითხე და ის ბარათი გოგოს მიეცი, რომ თავის ბატონისშვილს ნინოს მიართოსო, სხვას არავის მისცესო. თევდორემ კიდევ თავი გა-იქნია..... მიხვდა რაც ამბავი იყო და მოახსენა: ჩემ დროულმა კაცმა ქალებთან ბარათები არ უნდა ატაროს, მარამ, შენისგულისათჳს, თუნდა ჯანდა-ბას წავალო!!,..

აქ ალექსანდრემ დაჯდა და ნინოს წიგნი მისწერა. იმ წიგნში ასე ეწერა.

სულიზედ უტკბესო ნინო!

არ ვიცი ვინ გამომჭრა ყელი და ასე უდროოთ საფლავი ვინ გამითხარა?!... ნეტავი პირველათვე უარი გეთქვა ჩემთჳს და ან შენის კელით მოგეკალ, მე ის მერჩივნა!..... მაშინ მეცოდინებოდა: ვისგან ვკუდები და რისათჳს ვკუდები! ახლა ერთი სათხო-ვარიღა დამრჩომია: ნახევარ საათი დროება მაჩუქე, შენთან სალაპარაკო მაქუს.

შენი ალექსანდრე.

ალექსანდრემ ეს ბარათი დაბეჭდა, თევდორეს მისცა და გაისტუმრა. ნახევარ საათს უკან გულმა ვეღარ გაუძლო, თითონაც სალამაძიანთკენ გასწია. რა ბაღჩას მიახლოვდა, დაინახა რომ ნინო ერთს ხეს ქვეშა ზის; მაშინათვე ღობეზედ გადვიდა და შორიდანვე შესძახა: ნინო, ეს რა გავიგონე არ გებრალები?—რატომ არ ჩამქოლამო! ნინომ რა ალექსანდრეს ხმა გაიგონა, ფეხზედ წამოვარდა,

ამისაკენ გამოიქცა, დარდაეხვია, გულზედ თავი დაანდო და ტირილი შექნა.—ამათი ნახვა ერთი საცოდაობა იყო;—ორთავე გულები ამოუჯდათ; ერთი იძახდა: ნინო!... მეორე გულსაკლავათ წარმოსთქვამდა: ალექსანდრე!... ამ სახელების მეტი არა ისმოდარა. ამ საცოდავებმა, რა ტირილი და წუწუნი გაათავეს, მაშინ ალექსანდრემ წარმოსთქუა: ნინო, მე მეტი ვეღარ მომითოქრებიარა: მოდი, ამაღამ გაგაპარებ, ცოტას ხანს მოვეფარნეთ სადმე სოფელში, ჯვარი დავიწეროთ და შემდეგ ისევ შენს დედასთან მოვიდეთ. ნინომ უპასუხა: დედა რომ არა მყავდეს, მაშინ ადვილი იყოვო, მარამ, მაგ საქმეს, რასაც შენ ამბობ, რასაც წამს დედა შეიტყობს, მაშინათვე, სულიც გასცვივა, და იმასი სიკვდილს, მე მოვკვდე ის მირჩევნია, და ან რა ხეირს ვნახავთ რომ ადამიანის სიკვდილში ჩავდგეთო. ალექსანდრემ: მაშ საყდარში უარი სთქვით. ნინო ძველებურათ გაზრდილი ქალი იყო; ამისმა გამგონემ წარმოსთქუა: მე აღრევაც გითხარ,—დედის ჩემისა ასეთი შიში და სიყვარული მაქვს, რომ იმის ბრძანებას მე უარს ვერა ვუთხრო. ამას გარდა, უარი რომ ვსთქვა, ქვეყანა რას იტყვისო? ალექსანდრემ: ქვეყანამ რაც უნდა ილაპარაკოსო, თუ კი ჩვენ ბედნიერები ვიქმნებითო. ნინომ ამოიოხრა და სთქუა: ეჰ ალექსანდრე! ქალის ჯარხმალი: სახელი და ნამუსი არის, თუ ესენი წმინდათ არ დავიცევთ, იცოდე ჩვენი ცხოვრება ამაო და შესაბრალისი იქნებაო! ალექსანდრემ მიუგო: მე აქ ამისათვის არ მოვსულვარო, რომ ქადაგება მოვისმინოვო. ამ სიტყვაზედ გაბრუნდა და წასვლა დააპირა. ნინომ შეუძახა: ალექსანდრე, ღმერთს გაფიცებ, აქ დაბრუნდიო! ალე-

ქსანდრე მობრუნდა და უთხრა: მშვენიერო, მე ვხედავ, შენი სიყვარული, სულ სიცრუე ყოფილაო! ნინომ მწარის ღიმილით წარმოსთქვა: ჰეი საყვარელო! მე ჩემი თავი და ნამუსი ძვირათ დამიფასებია: ჩემს ტუჩებზედ და ლოყებზედ, პირველათ შენმა ტუჩებმა იტკბანურეს; ეხლაც მკერდი, ჩემმა ცრემლებმა დაგისველეს და შენ კი იძახი, არ გიყვარვარო!.... ალექსანდრემ, ნახა, რომ ნინო ჭეშმარიტს ლაპარაკობს, ხელი გამოართო და უთხრა: მაშ მშვიდობით, ჩემო ნინო! მე ვხედავ, რომ ამ ქვეყანაზედ მე აღარ შეცხოვრებაო, — რიღას მუშაკი ვარ?..... მშვიდობით, ჩემო ნინო, და გახსოვდეს, რომ ერთი კაცი იყო ქვეყანაზედ, რომელმაც სიყვარულიც და თავიც შენ შემოგწირა..... იყავ მშვიდობით და უჟალსა ვსთხოვ, სხვასთან უფრო ბედნიერი იყო. ნინომ, რა ეს მწარე სიტყვები გაიგონა, მაშინათვე მიხვდა, რომ ამაოთ არ იყო ნათქომი და შეუძახა: თუ შენს თავს აუტეხ რასმე, მეც ჩემს თავს არ დავიშურებო და იცოდე, ორი საშინელი ცოდვა თავს დაგედებაო!... სირცხვილი არ არის აგრე სულმოკლეობა?... ჩვენ უნდა ვიცოცხლოთო და ერთმანეთს ვანუგეშებდეთო. ალექსანდრემ მიუგო: ვერა ნუგეში მე გულს ვეღარ მომიბრუნებსო. ნინომ წარმოსთქვა: მაშ მე რაღა უნდა ვქნა, რომ ჩემმა დედამ ეს მწარე ნაღველი დამალევინა? — შენ კიდევ ყმაწვილი-კაცი ხარ, ერთს თვეს შემდეგ დაგავიწყდები, სხვას უკეთესს ჰნახავ, შეიყვარებ და გაბედნიერდები! — მარამ, ვინ იცის, მოითმენ, ბედი ჩარხია, იქნება რა დროებას შევესწრათ?..... თუ სააქაოს არა, საიქიოს უკეთესი ქვეყანა არისო!,.. ამ დროს ფანჯრიდამ ხმა გამოხდა: ნინო, ნინო! სადახარო! ნინომ რომ ეს ხმა

გაიგო, წარმოსთქუა: უი, დედა მეძახისო. ამ სიტყვაზედ ალექსანდრეს ჴელი გამოართო და უთხრა: მშვიდობით, ალექსანდრე, და გახსოვდეს შენი ნინაო. ასე სთქვა და შინათკენ გაეშურა. აქ ალექსანდრე გაბრუებულივით, მარტო დარჩა. შემდეგ ძ'ეც გამობრუნდა, ქუჩაში გამოვიდა და თავ-ჩაღუნული და გულმოკლული შინათკენ წამოვიდა. ამ დროს, ფანჯრიდამ ყმაწვილებმა დაუძახეს: ალექსანდრე, აქ ამოდიო! ამას არავისი არა ესმოდარა. იმათ მაინც არ დაიშალეს. ერთი ყმაწვილი-კაცი ფანჯარაში თითქმის ნახევრობამდის გადმოეკიდა და დაუძახა: ჰეი, ქართველო ბიჭო! რას დიდგულობ, რატომ არა გვკადრულობო! ალექსანდრემ მაღლა აიხედა და სოლომონ საინოვი და სხუანი თავის ბეგობრები იცნა, რომელიც ჴელს უქნევდნენ. მეტი ღონე აღარ იყო, იმათთან ავიდა. ისინი კარებში მოეგებნენ. ერთმა შეუძახა: რა დაგიკარგავს, რომ დედამიწას ჩასცქეროდიო? მეორემ წარმოსთქუა. თუ ვარსკვლავთ მრიცხველი ხარ, ზეცას უნდა იყურებოდეო. მესამემ ჰკითხა: ხვალ ქორწილში არა ხარ დაპატიჟებულიო?..... ამ ყმაწვილებმა არ იცოდნენ ალექსანდრეს გულში რა ვარამი ტრიალებდა. ამან უპასუხა: თქუენ შეექეცით, მე ხვალ სოფელში მივდივარ, ბიძა მძლი ავათ გამხდომიაო. ყმაწვილებმა ერთობ წარმოსთქვეს: რასამბობ, უშენოთ ლაზათი არა გვაქვსო, ლამაზი ნინოს ქორწილში სულ ცხრილით წყალი უნდა გზიდოთო.....

ალექსანდრემ ნახა რომ ეს ხალხი ცოტა ზარხოშათ არის; იფიქრა, აქ ჩემი საქმე არ არისო: რა დავკარგე და რას ვეძებო. როგორც იყო, იმათ თავი დააღწია, შინ წავიდა და თევდორეს უთხრა:

ორი ცხენი იშოვნე, ხვალ სოფელში უნდა წავიდეთო: სე ქალაქი სიშინლათ შემძაგდაო. თევდორეს ეს ამბავი ძალიან იამა, იფიქრა: ჩემი ბატონი იქ გულს გაართობსო, და ცხენების თადარიგს შეუდგა.

მეორეს დღეს დილით ადრე ბატონ-ყმათ სოფლისაკენ გასწიეს.

## 2. ქორწილი.

იქნება ზოგთ სთქვან, რომ თუ ალექსანდრეს ისე ძრიელ უყვარდა ნინო, რატომ ყოველი თავის ღონისძიება და საშჳალობა არ მოიხმარა, რატომ ბოლომდის არ იბრძოლა, რომ ნინო შაერთოვო. მარამ ალექსანდრე რადგან არ იყო იმ კაცებთაგანი, რომელთაც ხასიათი და განუსჯელი ფიქრი დაემონება ჟინსა და გრძნობასა. ამასთან ალექსანდრე დიახ კარგათ იცნობდა ნინოს დედას ელენეს, და იცოდა, რომ ის თავის ნათქვამს სიტყჳას არ გარდავიდოდა.—ამისთჳს თავის თავი შესწირა ამ გვარის ბედის განკარგულებასა!.,.. ალექსანდრემ ესეც იფიქრა: მე რომ ამ განწირულებაში უმაწვილური რამ მოვიქმედო, ქალაქელების ჭორს ვეღარ ამოვალ და უმჯობესია ჩემმა ხვედრმა დამსაჯოსო, ვიდრე ხალხის სასაცილო და სალაპარაკო შევიქნაო!.. და ეს რომ ვიცოდე, ბოლო ჩემი სასარგებლო იქნება, მაშინ სხვა რიგათ მოვიქცეოდით!.....

აქ ფიქრი გაწყვიტა და მცირეს ხანს შემდეგ წარმოსთქჳა: ოჰ, რა ნეტარება იქნებოდაო, მარამ..... აქ ალექსანდრემ სიტყჳა აღარ შეასრულა; თვალები დახუჭა, რამდენიმე ცრემლი გადმოყარა, შემდეგ გული მოიბრუნა, კეთილმა ფიქრმა ჟინი და სიყვა-

რული დასმლია; აქ განიზრახა რომ მცირეს ხანს თავი მოარიდოს სადმე და ამ აჩრით სოფლისაკენ წარემართა.

ნინომ, რასაკვირველია, ალექსანდრეს ქალაქიდან გასვლა არ იცოდა; იჯდა თავის ოთახში და გუშინდელს ლაპარაკს მოიგონებდა. ამასთან განსჯიდა თჳსს გარემოებასა და ფიქრობდა შემდეგისათჳს, რა ცხოვრება განემზადებინა ამისთჳს ბედსა. ესეც ცხადათ იცოდა, რომ დედის ურჩობა და უარის თქმა არ შეიძლებოდა. ამისაგან ნინო რამდენიც მომატებულს ფიქრში შევიდა, იმდენი, უმეტესად ალექსანდრეს სიყუარული განუმრიელდებოდა და უღრღნიდა გულსა... ბოლოს, ამ ტკბილს ტანჯვაში წარმოსთქვა ნინომ: ჰეი ალექსანდრე, ალექსანდრე! ეს რა ცეცხლში ჩამაგდე! — ის დღე დაიქცა, რასაც დღეს მე შენ პირველათ გნახე!... ნინო ამ ჟამად ასეთს გრძნობაში მოსული იყო, უეცრივ ალექსანდრე რომ შემოსული იყო საითმე, ნინო გარდეხვევოდა და ეტყოდა: წამო ალექსანდრე, გადვიკარგნეთ სადმე, ოღონდ ჩვენ ერთმანეთს არ მოვშორდეთო!... ამ დროს უეცრივ კარები გაედო და ნინოს დედა ელენე შემოვიდა ოთახში; ელენემ რომ თავის ქალი დაღონებული დაინახა, წარმოსთქუა: შვილო, რატომ აგრე ხარ; აქ მარტო რას უზიხარ.... ეგ რამდენიმე ხანია შენ სევდიანსა გხედავ, ხომ არა გტკივარა?... ნინომ მოახსენა, არა დედას მზემ, მე არაფერი..... ისე რაღასაც დავფიქრდი. ელენემ განაგრძელა: შვილო, რატომ სწორეთ არ მეტყვი, თუ გტკივა რამე, ცოტა კიდეც გახდი..... მარამ, მეც რომ შენის ხნისა ვიყავ, აგრე სევდიანობა დამჩემდა, მინამ გავთხოვდბოდი. ახლა შვილო, ხომ

იცი, შენი ბედნიერება მინდა,—შენს თავსა მთხოვენ და სიტყვაც მივეცი, რადგან ვიცოდი რომ დედის მორჩილი ხარ და უარს არ იტყოდი... ლევან გორდამე, შენი საქრმო, უცხო შვილია და ეხლა ამისთჳს შემოველ, რომ შენც დაგეკითხოვო!

ელენემ რა იცოდა, იმის ქალის გულში რა დარდი ტრიალებდა. ნინომ რომ დედის სიტყჳა მოისმინა, არ იყო რომ გული არ აუქროლდა და არ იცოდა რა ექნა,—ბეწვზედ ეკიდა იმისი საქმე! მარამ უარის თქმა ძნელი იყო ნინოსაგან, ამისთჳსაც წარმოსთქვა: დედას ჭირიმე! მე რა უარი შემიძლიან, თუ თქჳენი ნება გახლავთ?.... მარამ რომ არ გამათხოვოთ, უმჯობესი იქნებაო. ელენემ, ამისმა გამგონემ, შეჰყვირა: უი ჩემს თავსა! რახამობ შვილო,—მე რა აგრე ბევრი შვილების პატრონი ვარ, რომ შენთჳსაც არ ვიზრუნოვო?!... არა გენაცვალოს დედა! დედის ერთას შინ ვერ დაგაბერებო! ნინომ მიუგო: მე თქვენი მოშორება არ მინდაო. ელენემ: მაგას ვინ გირჩევსო? ქმარი შეირთე და ორივ ჩემთან იყავითო.— ნინოს, ყოვლის მხრით მოჭრილი ჰქონდა გზა.— ელენემ, რა ქალი ადვილათ დაიმორჩილა, თავის სიძეს ლევანს გორდამეს, ჴელ ახლათ, კაცი გაუგზავნა და ქორწილს დაეშურა.

ახლა ეს გსცნათ, ლევან გორდამე რა კაცია, რა თჳსება აქჳს და ღირსია თუ არა ლამაზი ნინასი.

ლევან სიყრმითვე ობოლი დარჩომილი იყო და მოხუცებული მამიდა ზრდიდა და მეტათ ანებივრებდა. ლევან თუმცა სასწავლებელში იყო, მარამ იქიდან ვერა გამოიტანა რა. სხვანი ამის ტოლები რომ წიგნს კითხულობდნენ, ეს სალამურს უკრავდა, სხვანი

რომ თავისუფლათ იყვნენ და ეკკლესიაში წავიდოდნენ, ეს კოჭებს შეექცეოდა და ქაღალდის ფრიალას ათამაშებდა.—ბოლოს თექვსმეტის წლისა შეიქნა, კითხვა ძლივს ისწავლა. ერთს დღეს, ოსტატმა სცემა და მაშინ იმაზედ გალახეს და სასწავლებელიდანაც დაითხოვეს. ლევანის გამოგდება სასწავლებლიდან, ძალიან იწყინა ამისმა მამიდამ და უნდოდა ეჩივლა, მარამ სხვებმა დაუშალეს,—მაშინ ადგა და ლევანს უთხრა: შვილო, უმა და მამული გიოხრდება, შენ რუსული აჩაბაჩა რას გარგებს, წადი შენს მამულს მოუარეო!—აქ ლევანმა რომ თავის თავი მებატონეთ და თავისუფლათ ნახა, სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა. მაშინათვე სოფელში წავიდა. ჯერ იქ, კარგა ხანი, კურდღლებსა სდია. რა ეს შექცევა მოსწყინდა, გლეხ-კაცებს ფული შეაწერა და ქალაქში ჩამოვიდა. აქ მიჰყო კელი და საცა ბოლო მაღალი იყო, ეს იმისი მაყარი იყო!—ჯერ საზანდრებს გაუმეგობრდა და იმაზედ მრავალი ფული გააფუჭა. რა გაზაფხულდა, ბაღი აღარ დარჩა, რომ იქ დრო არ გაეტარებინა: სად გაუთენდებოდა და სად დაუღამდებოდა, აღარ იცოდა. ბაღის დროც გავიდა; ზედ დატანებით მამიდაც მოუკვდა, რომლისაც არ იყო რომ ცოტათ არ ეშინოდა.—მაშინ, ყავახანების ხშირი სტუმარი შეიქნა; მიჰყო კელი ლოთობას და ყომარბაზობას. მრავალი ვალი დაიდო, მარამ თავისას არ იშლიდა თუმცა ფულებიც შემოაკლდებოდა ხოლმე. რა ამის ამფსონმა ლოთებმა ფულის სისუსტე შეატყეს, დაუწყეს რჩევა: ერთი მდიდარი ქალი შაირთე, თორემ, აგერ ზაფხული მოდის და ზამთრათ არ გადაგვექცესო! ეს იყო ამ დროს ელენეს მოციქული მოუვიდა და რასაკვირველია, რომ ლევან უარს არ

იტყოდა.—ახლა იფიქრეთ, ამ ჩვეულების ჰპატრონს, რა ჰპატივის ცემა და სიყვარული ექნებოდა ცოლისა?!... და კიდევ იტყოდა ხოლმე: ერთი ფულები ჩავიგდო ჴელში და რაც მე იმ ქალუჯას მოუჯდე გვერდით, მაშინ თავის კბილებ ჩაცვივნულს დედას დააკვეხოსო! გასაკვირველიც არ არის, რომ ლევან ამას იტყოდა, ამიტომ რომ ასეთი ამფსონები ეშოვნა, რომელთათჳსაც ქვეყანაზედ წმინდა აღარა იყორა.—ესენი გახლდნენ ერთი ბაყალი, სამი მიკიტანი, ერთი ყასაბი, ერთი მეთამბაქოე და ოთხნიც უსახლკარო და უჴელობო კაცები, რომელთაც უწოდნენ—ჰაყარნებათ. ლევანს რომ მოციქული მოუვიდა, მაშინათვე ამ თავის ამფსონებს ახარა და ეტყოდა: ბიჭებო! მე ცოლი რათ მინდაო, მე ფული მინდა, ფულიო! ჩემი საცოლომც ენაცვალება: ლიზას, სოფიოს, ქეკელას და სხვებს, მე და თქვენ რომ ვიცითო!.....

საბრალო ნინომ კი არ იცოდა, რა ავაზაკს კაცს უხაროდა იმისი ფულები და ვისი მონა შექმნილ იყო!

ახ, ნინო, ნინო! ჩემი გული იწვის ამ სიტყვების წერაში, შენის საბრალოებით, და ვემდური ხვედრსა შენსა!...

ამ ხასიათების ჰპატრონს ლევანს ერთი კარგი თჳსება ჰქონდა: ნათესავების სიყვარული და ამასთან საკვირველი ჩჩვილი გულის ჰპატრონი იყო, ეტყობოდა რომ თესლი კარგი იყო, მარამ დამთესს ცუდს ალაგს დაებნია და მებაღეც კარგი ვერ შეხვედროდა.

ღმერთო, რამთენი უმაწვილი კაცი იღუპება, ცუდის მაგალითით და გარყვნილს საზოგადოებაში ყოფნითა!...

ღმერთმა უწყის, ლევანმა იცოდა თუ არა, ქორ-

წინება რა საიდუმლოება იყო; ვინიცის მოესმინა რომლისმე, რომ ქორწინება იყო წმინდა საიდუმლოება, რათა არის შეერთება იესო ქრისტესი მეკლესიასათანა; ეჭვი მაქვს, რომ ლევან ამ საიდუმლოებისათვის წმინდის სჳნიდისით და კრძალვით მზადებაში ყოფილიყო!... მარამ, ჩუჱნ რაც უნდა მსჯელობაში შევიდეთ, ის ხალხი თავიანთ გვარათ მოემზადა ასე რომ, ერთს ხუთშაფათს ღამეს სალამაზიანთ სახლში დიდი ქორწილი იყო გაჩაღებული. ამ სახლში უცებ რომ შეგეხედნათ, მრავალს გამხიარულებულს ქალს და კაცს ჰნახავდით, მეფე და დედოფალი ერთს ტახტზედ დაესხათ, ამათ წინ პირის მეღვინეთ დაეჩოქნათ და იყო დიდი ფულის გარდალოცვა. ამ ხალხისათვის რომ ყური დაგეგდოთ მრავალს გვარს ლაპარაკს გაიგონებდით,—ზოგი მეფეს აქებდა და ზოგი დედოფალსა. მარამ ნინუცა ასე გაბრუებული და გალურჯებული იჯდა, რომ ერთმა, ამ საზოგადოებაში მყოფთაგანმა კიდეცა სთქვა: რა გქნა, ამ დედოფალს ელენთა ხომ არ უჭამია პატარობისას, რომ ასე გამავებულაო?.. ამ კაცმა ესკი არ იცოდა, ნინოს გულში რა ვარამი ტრიალებდა!—მეფეკი მაგდენს არას დაგიდევდა. წამოდგებოდა, მალ-მალ ჩიბუხს მიჰვარდებოდა, სად რას დაჰლევდა, გაუძღომლათ ხილს შეჰსჭამდა,—აღარა გაეგებოდარა; ბოლოს მოვიდოდა ცოლს გადაეხვევოდა და ჰქონდა მხეცური ხარხარი! რადა განვაგრძელოთ, ნინუცა ცხადათ ჰხედავდა, რა კაცის ჴელში ჩავარდა და რა მწარე დროება მოელოდა შემდეგში?... ამ ქალს ეს უფრო ჰკლავდა ბოროტით, რომლესაც ალექსანდრეს მოიგონებდა და თავის ფიქრში ლევანს შეადარებდა!...

აქ ქორწილმაც განვლო, როგორც სხუა ქორწილებს გაუვლია, ლხინით და შექცევით: ჩაი, ხილი, საზანდრები, ლეკურის თამაშობა, შემდეგ ვახშმის გათავებამდის ჯიხვების ტრიალი და მეორეს დღეს, სიყუარულის დამამტკიცებელი ჯალუსტაკი!...

(დასასრული შემდგომს წიგნში იქმნება.)

## ბიბლიოგრაფია. (*)

გრამმატიკა უფ. ჩუბინოვისა, დაბეჭდილი ს. პეტერბურღში, საიმპერატორო აკადემიის სტამბაში.

არიან იმ გვარნი კაცნი, რომელნიცა დიდის აღტაცებით მოელიან ახალსა რასამე თხზულებასა, უმეტესად იმ თხზულებასა, განა შედგენასა რაისამე წიგნისასა, რომელიცა იბეჭდება იმ გვარს ქალაქში, როგორიც არის პეტერბურღი. თითქმის ათი წელიწადი მეტი გვესმოდა, რომ შემადგენელი, ქართულის ხრესტომატიისა უფ. ჩუბინოვი აპირებდა ქართულის გრამმატიკის გამოცემასა, და ჩვენ ქართველნი დიდის მოუთმენლობით ველოდით ამ წიგნის გამოცემასა, და რასაკვირველია რომ მოუთმენლივ გვეცადნა ამისთანა საზოგადო სასარგებლოს წიგნისათვს, რადგანაც აქამომდე არ დაბეჭდილა რიგიანი გრამმატიკა. უფ. იოსელიანის გრამმატიკა არის თითქმის კოსტოკოვის გრამმატიკითგან ნათარგმნი, (ნათარგმნი კოსტოკოვის გრამმატკითგან!). განსვენებულის ს. დოდაევისა არის და იმაშიაც არის ბევრი ნაკლულოვანება, მხოლოდ რაც არის, კმასაყოფელია, და ახლა ვხედავთ ჩვენდა განსაცვიფრელად ჩუბინოვის გრამმატიკას. ამ წიგნის ნახვაზედ მოდით და გულ-წრფელობით ნუ გადვიარებთ ჩვენს ჭაზრსა! მიკვირს თუ ჰოგი ერთი როგორის გაბედულებით შეუდგება იმ გვარ საგანსა, რომლისაცა სისრულეში მოყვანება არ შეუძლიან! ვაქებ მხოლოდ იმ გაბე-

(*) წიგნის-აღწერა (ბერძ. ენ.) რ.

დულებასა, რომლითაცა შესდგომია შრომასა, და არა ნაშრომსა გინა ნაღვაწსა ხრესტომატიის შემადგენელის უფ. ჩუბინოვისას, აქამომდე როგორც ვხედავთ, არ იციან უ.უ. ქართული ღრამმატიკის შემადგენელთ, რომ ამ გჳარი საგანი არ ითარგმნება სხჳათა ენებითგან, არამედ თჳსებისამებრ საკუთარის ენისა უნდა შესდგებოდეს. არა წარმოიდგენენ თჳს შორის ეს უფალნი ავტორნი, უმეტესად ავტორი უკანასკნელ გამოცემულის ღრამმატიკისა, თუ ვითა დადებულ არიან ადრევე სჯულნი ბუნებით მომზადებულთა სიტყჳათათჳს, და ამა სჯულთა ვერცა გამოცვლა და ვერცა დაწმახვნა ვისმე ძალუძს: ნუ თუ არ იციან ამ ზემოხსენებულთ უფალთ, როგორც ჰსჩანს იმათ ღრამმატიკათგან თუ: 1, რავლენი მოუცია ბუნებასა ჩჳენთჳს ხმა, გამოხატვისათჳს სიტყჳათა 2, ვითარ შეუერთებია მას ეს ხმანი შედგენისათჳს მარცჳალთა 3, ვითარ შედგენილან მარცჳალთაგან სიტყჳანი, რომელთათჳსაც განუწესებიათ სხჳა და სხჳა გჳარი სახე (ფორმა) მნიშვნელობისამებრ გამოხატვისა (ეტიმოლოღია) და 4, რომლისა სჯულით ადრევე სწორეთ განუსაზღვრავთ შეერთება სხჳა და სხჳათა სიტყჳათა, რათა შედგენილ იქმნენ პირველ დაწყებითნი აზრნი შეერთებულთა სიტყჳათა და პერიოდნი (სინტაქსის). ერთის სიტყჳთ უნდა ვჰსთქვათ, რომ დაწვლილებით განრჩევა უფ. ჩუბინო.ვის ღრამმატიკისა არ არს შესაძლებელ, ამისთჳს რომ მოითხოვს დიდსა შრომასა, თავისის აურაცხჳელის შეცდომისა გამო. პირველს გვერდზედვე წარმკითხველი შენიშნავს იმისთანას ნაკლულევანებასა, რომ დასაჯერებელიც არ არის აქამომდე ზოგთაგან. მსწავლული პირი დაუდებდეს წინ კაცსა ვითარსამე

კანონსა და ამა კანონსა თჳთან კი არ შეუდგებოდეს! რა იქნება? მასწავლებელი ასწავლებდეს თავის მოწაფესა და თჳთან კი არ დაიცავდეს ნათქვამსა! რა იქნება? უპირველესი საჭიროება ყოვლის ენისა არის მართლ-წერა, კარგი მართლ-წერა იქნება თუ რომ დავწერთ, ნაცვლად, ჩუენ — ჩვენ; ნაცვლად ჰსწერენ — სწერენ; ნაცვლად თჳს — თვის, და ესე სიმდიდრე ენისა შესაბამ მართლ-წერისა, იწყობა თითქმის პირველსავე გვერდზე უ. ჩუბინოვის დრამმატიკისა. უ. ჩუბინოვი თავისას ქართულის ენის დამადგინებელის დრამმატიკით გვიმტკიცებს, რომ ესე სიტყვები: კომლი და კვამლი, ერთის მნიშნელობისანი არიან; ის გვიმტკიცებს რომ, უკეთუ ვიტყვით: ხუთი კომლი კაცი მყავს და ბუხრიდგან კვამლი ამოდის, — კომლი და კვამლი ერთნი არიან. სიტყვები ესე: მორჩი და ნორჩი, იმისავე დრამმატიკით განარჩევ ჩუენთა საყუარელთა წარმკითხველთა, რომ აგრეთვე ერთის მნიშვნელობისანი არიან. სულ ერთია იმისის აზრით, თუნდა ვსთქვათ: მორჩი შენს თხზულებასა? და ნორჩი შენს თხზულებასა? აქამდინ როგორც ჰსჩანს არ იცის, რომ მორჩი არის საქმის მორჩომა, ხოლო ნორჩი არის, ჩვილი, ახალგაზდა, ახალი. მე მგონია დიდი განსხვავება იყოს ზმნისა და სახელ არსებითისა შორის; მე მგონია რომ ნორჩი არ არის ზმნა, არამედ სახელი არსებითი; მე მგონია ნორჩი არ აჩვენებდეს მოქმედებასა რასამე... არამედ აჩვენებს საგნის არსებასა. კაცი ჰსცოვრებს თჳსებასამებრ, თუ მოქმედებითა, თუ ენითა თუ სხვა ფერივ, გარეშემოზღუდვილ ხალხთა მიხედვითა, და ყოველსავე მათ ქცევას, გინა ლაპარაკს უფრო მიიღებს, ვიდრე რამდენიმე ვერს განშორებულ ხალ-

ხოჯგან. უ. ჩუბინოვს გარეშემო ახვევიან რუსნი. მაშასადამე მას უფრო შეუძლიან წერა რუსულს ენაზედ, ვიდრე ქართულზე, რომელსაცა თითქმის სრურმითვე განშორებულია და რა ეხსოვება. რომელი ქართველი სთარგმნის ხუთს მილიონს ქართულს ენაზედ ხუთასი ათასად? ავტორი ქართულის გრამმატიკისა ზედ შესრულ-საჭელში 12 გვერდზე, ასე უთარგმნის თავისის მშვენიერის გრამმატიკის მოსწავლეთა, რომელნიცა ჭეშმარიტად შესაბრალისნი არიან ამისთანა კანონების ჰსწავლისა გამო. მგონია ეს ჩემო ხსენებული ავტორი ერთს დროს ამტკიცებდა, რომ უმჯობესია ვსთქვათ «პეტრე თოფი ესროლა პავლეს,» ვიდრე პეტრემ თოფი ესროლა პავლეს, თავისის გრამატიკით მოუხმია მოთხრობითი ბრუნვა, რომელიცა გაუმეტებია მოქმედებითად. მოთხრობითი და მოქმედებითი ბრუნვა იმის აზრში ერთნი არიან, ორივესათვის დაურქმევია მოქმედებითი.. ნაცვალ-სახელს უფ. ჩუბინოვი გვიყოფს ექვს ნაწილად, არა ქართულს ენაზედ, არამედ — რუსულზედ ამ სახით: 4, **Личныя** 2, **Указательныя** 2, **Притяжательныя** 3, **Вопросительныя** 5, **Опредѣлительныя** და 6, **Возвратныя**. ამ სიტყვებს არც თუ ჰსთარგმნის ქართულს ენაზე, არ ვიცით რა მიზეზით! თუ რუსული გრამმატიკა არის, სრულებით რუსულს ენაზე დაჰსწერდა, მე მგონია ეს გრამმატიკა იყოს დაწერილი უფრო საქართველოსათვის და არა რუსთათვის. და თუნდა ვსთქვათ ეს ასეც იყოს, მაინც მგონია, რომ საჭიროება მოითხოვდეს თვითეულის სიტყვის გადმოთარგმნასა ქართულს ენაზე, რომელმა მოსწავლემ გაიგოს, რას ნიშნავს ქართულს ენაზე «**Оредѣлителныя.**»

აქედან ეს გამოდის, რომ ყოველმა ამ ზემო-ხსენებულის გრამმატიკის მოსწავლემან უნდა იყოლოს იმასთანვე ლექსიკონი, რომლის საშვალობითაც შეუძლოს ზოგიერთის სიტყვის გადმოთარგმნა. არც თუ იმას გვიწერს, რა არს ნაცვალ-სახელი, და მისი თვითეული განყოფილება რასა ასწავებს? მგონია არა რომელს ენის გრამმატიკაში არ იყოს ეს აუხსნელობა. ამასთანვე შესავალი და სახელი არსებითი ვიდრე ზედ-შესრულ-სახელადმდე გამოუშვებია 10 გვერდამდინ, ხოლო ნაცვალს სახელს გვიწერს ერთს ფურცელზედ, მაგრამ მიკვირთ! ეს მგონია ამისთვის, რომ გრამმატიკისათვის დაურქმევია «Краткая» რადგან მოკლეს ეძახის, ეს მაინც ჰქნა: აღეწერა ქართულს ენაზედ, რამდენი სიტყვის ნაწილია? თჳ-თვეულს სიტყვის ნაწილს რამდენი რტოები აქვს და ყოველს რტოს რამდენი შტოები. ეს გრამმატიკა მაშინ გამოდგებოდა მსწავლულთათვის, ისიც მხოლოდ სა-ხსოვრად და არა მოსწავლეთათვის, რომელთაცა უნდათ შესმენა ვრცლად, რათა გაიგონ მნიშვნელობა ყოვლის ლექსისა. ვნახოთ ახლა ზმნა რას გვეტყვის. ზმნის განყოფილება იმავე ჰირობით არის, რა ჰირობითაც არის ნაცვალ-სახელი და განყოფილება, მხოლოდ იმის აზრით, ახლა ზოგი ერთს ზმნაში მართლწერა დაუცვია, მაგალითად: «მწერელი.» რომელი ქართველი გვეტყვით: ქართულის ხრესტომატიის მწერელი ქცია. ზმნის მრავლობითს რიცხვს ადგენს მხოლობითგან ამ სახით: მხოლ. რიც. წერ, მრავლობითი რიცხვის შედგენისათვის უმატებს ჰ და ე შუა ს, ხოლო ბოლოს თ, და გამოჰყავს: წერ — ჰსწერთ. ესეც უნდა ვსთქვათ ჭეშმარიტებით, რომ მაგალითები სათარგმნელად ქართულის ენითგან რუსულს ენაზედ,

მოსაწონია. რაჲსათჳს? ამისთჳს, რომ ამოუწერია ყოველი ლექსი თჳთოეულად ნამდჳლით-გან, ესე იგი: სიბრძნე სიცრუითგან. მრთელის ღრამმატიკის ნაკლულოვანებას ისი ჰფარავს, ასე რომ მოსაწონია. მოსწავლე ვიდრე იქამომდე შევა, ღრამმატიკის ჰსწავლა ბეზრდება, და რა იქ შევა მაშინ თითქო ილარებსო, რადგან ხედავს გასაგონს აზრსა. მაგრამ ესეც დაუწმახვნია უ. ჩუბინოვს, ასე რომ ნაცვლად «მოჰქონდა, დაუწერია» მო აქვნდა; «მცურავი ერთი მო აქვნდა წყალსა და სხ. ეს რას ნიშნავს? ჩუენის აზრით აი რა გამოდის: მცურავი ერთი მოდით ჰქონდა წყალსა.» მე მგონია ვერცა ერთმა ქართველმა გაიგოს, თუ რაში მდგომარეობს აზრი. ზმნის მიმოხვრას ნუღარ ვიტყვით! რომ არა ვსთქვათ, ისევ ის ჰსჯობია. ერთს ალაგს გვიწერს ამ ზმნას: «მახსმ» ჩუენ არ გვესმის, რა სიტყუვებია! უთუოდ მოუგონია ახალი ლექსები, რომელნიცა რა საჭირონი არიან მაშინ, როდესაც უიმისოთაც მდიდარი არის ჩუენი ენა. ნუ გავჩხრეკთ დაწვრილებით, ნურცა მოვლეთ, როგორც ჩემოთ, შეუცვალებელთა სიტყვის ნაწილთა! მიზეზს ყოველი მსწავლული ქართველი მიხვდება, — მაშ რა ვქნათ? განვჩხრიკოთ ლექსთ-თხზულება? დავეხსენით ეს დარჩეს შემდგომისათჳს; მხოლოდ უკანასკნელად თუ ნებას მოგვცემს ავტორიც უკანასკნელ გამოცემულის ღრამმატიკისა განუცხადოთ გულწრფელობით და პირმოთმენობით მას, რომ უმჯობეს იყო მისთჳს გამოეცა ის ქართული წიგნები, რომლითაცა მდიდარია პეტერბურღის საიმპერატორო აკადემია და რომლისათჳსაც დაუმადლებდა თითქმის სრულიად საქართველო, ვიდრე მიეყო ხელი იმ გვარის საგანისათჳს, რომლისაც

სისწორეში მოიყვანა დიდ მნელია და არა ადვილი. როგორც გამოუსახავს უ. ჩუბინოვს! თუ რომ შესდგომია ამ საგანს, ჩუენში დარჩეს, ევროპიელნი რომ იტყვიან, «СПЕКУЛЯЦІЯ» ამ აზრით, ეს აზრი უფრო გამოადგებოდა მაშინ, როდესაც დაიცვავდა ჩუენსა რჩევასა, როგორცა ზემოთ ვსთქვით, უფრო მრავალნი წაიკითხავდნენ და უფრო მრავალნი დიდის აღტაცებით მიიღებდენ, როგორც უ ბროსეს ნაშრომლობასა, რომელთაცა აქამომდე დიდის სიამოვნებით ვკითხულობთ იმის ნაღვაწებს და რომელსაცა მოვალეთ რაცხს ყოველი ქართველი განუცხადებდეს უგულითადესსა მადლობასა.—რამდენის თხუთმეტ წლოვანთ მოსწავლეთაგან გამიგია: უმჯობესი არის ვსწავლობდეთ განსვენებულის ს. დოდაშვის გრამმატიკას, ვიდრე ამ ახალ გრამმატიკებსაო, რომელთაცა არც თავი უჩანთ და არც ბოლოვო, მაგრამ ან ის რა საჭიროა და ან ის, ვისაც სურს ნამდვილის ქართულს ენაზედ გრამმატიკის გამოცემა, აიღოს ანტონ კათალიკოზის გრამმატიკა და იქიდგან შეადგინოს, მე გარწმუნებთ, რომ იმაზე უჩინებულესი არა იქნება რა, და მე გარწმუნებთ, რომ ყოველნი ქართველნი გვსტყუით წინაშე ანტონ კათალიკოზისა (ნამდვილ ქართულის ცოდნისაგამო.) მაშასადმე, როგორც თქმულია, ტყვილათ რადას ვედებით ღობე-ყურეს, დაიბეჭდოს იგი გრამმატიკა და ისწავლებოდეს სასწავლებელში, სადაცა ასწავლიან ქართულს ენას. გარწმუნებთ, რომ ანტონ კათალიკოზის გრამმატიკა არის სწორეთ საძირკველი ჩუენის მშვენიერის ქართულის ენისა.

* * *

## ქალთა ლაშქარი.

ერთს ევროპიულს გაზეთში იყო დაბეჭდილი სიამის ქუეყნის საჴელმწიფოს ჯარზედ მალიან სასიამოვნო ამბავი, რომელიცა იყო აღწერილი თავისის თვალით მნახველისა კაცისაგან. აჲ, რა ეწერა იმ გაზეთში: სიამის ქუეყნის სამეფოს ლაშქარნი შესდგებიან რამდენთამე ნაწილთაგან, ერთი მათგანი აკვირვებს სხვათა ქვეყნის ხალხთა; ეს საკვირველი ლაშქარი არის შემდგარი ქალთაგან, რომელნიცა არიან დანიშნულნი ჴელმწიფის გვამის მცველად. მეფე იმ ქალთა ლაშქარს ინახავს ჩინებულად და ამასთანვე კარგათ არიან გაწვრთნილნი.

სამსახურში მიიღებენ მხოლოდ ცამეტის წლისას, და რეზერვში ოცდა ხუთის წლისას, მაშინ ისინი ითვლებიან გარეშე მეფის სამსახურში და თავიანთ სიცოცხლეში უნდა იყვნენ მეფის სახლის ზედამხედველად. სამსახურში შესვლის ჟამსა დაიფიცებენ ხოლმე რათა დაიცვას სამსახურში უბიწობა და ამ ფიცის გატეხა შეიძლება მაშინ, როდესაც მეფე თვითონ ინებებს იმ ქალთაგან ერთ-ერთის შერთვასა. ეს ხშირად მოხდება ხოლმე. მეფე აღირჩევს ხოლმე კანონიერ ცოლად არა მშვენიერებათა, არამედ სამსახურის კარგათ მცოდნეს, და სრულად გავარჯიშებულსა. ამ იმედით მთელი ქალთა ჯარი უფრო ემდევა წარმატებასა. ამასთანვე არიან ერთმანეთის მოშურნენი და აკვირვებენ სრულიად ევროპიის ხალხსა მხნეობითა, გამოჩენით და ჩინებულის გაჭნსწავლითა.

ქალთა მათ აცვიათ ძვირფასი ტანისამოსი; საცმელი იმათი არის: თეთრი წმინდა ფარჩის ტანთსაცმელი ოქროთი ნაქსოვი, რომელიცა მუხლებამდინ ჰფარავთ,

მსუბუქი ჯავშანი, ქვემო ტანსაცმლის დასაფარავად და ოქროთი დაწერილი ზუზი იფარავს ტანსა; იმისათჳს ველებიკი თავის-უფლათა აქუსთ, ამისთჳს რომ თავისუფლათ შეეძლოთ თოფიარაღის ხმარება. თავებზედ ხურამთ პატარა ჩაჩანი. ამ ტანისამოსს იცვამენ მხოლოდ უმაღლეს და დიდებულ დღესასწაულის დღეებში, ისინი არიან შუბებით და ხმარობენ დიდის სიმარდით. სხუა ტანისამოსი, რომელიც აქუსთ, თითქმის მალიან მდაბიოა. უპირველესი იარაღი იმათთჳს არის თოფი, რომელსაც ჩინებულად ისვრიან და ნიშანს არ აცდენენ.

ეს ჯარი განიყოფების ოთხ ნაწილად, ყოველი ნაწილი შესდგების ასის ქალისაგან, რომელნიც არიან ასისთავის ჴელ ქუეით; ასის თავი ირჩევა იმათგანვე. როდესაც ასის თავი გარდაიცვლება; მაშინ ის ნაწილი, რომელსაცა უფლობდა გარდაცვალებული, შეიკრიბება ხოლმე და სამს დღეს მეფის წინ იჩენენ თავიანთს ვარჯის, ხოლო მეფე რომელიც მოეწონება და ნახავს უმეტეს ნაწურთნსა იმას აღმოარჩევს ასის-თავად.

აგერ ხუთი წელიწადია, რაც ასის თავად არის ერთი ქალი; რომელმაც 1851 წელსა, რა ახლდა მეფესა სანადიროთ, დაიხსნა მეფე სიკვდილისაგან თავის მამაცობით და სიმარჯვით. მეფე დიდ პატივსა სცემს იმას და აქუს დიდიუფლება სხუათა მეუფროსებზედ.

მეფე არასდროს არ გაიმგზავრებს ხოლმე უიმათოდ. და თუ სანადიროთ ან სასეირნოთ წაბრძანდება, მაშინ იახლებს ხოლმე იმ ქალთა ლაშქართაგან მხოლოდ ერთს ნაწილს, რომელიცა უფრო ერთგულია მეფისა. ყოველს ჯარში მყოფს ქალს ემსახურებიან ხუთნი არაბთა

ქალნი; მაშასადამე ისინი არ იზრუნებენ თავიანთ სა-ხლისათჳს და არცა ცდილობენ თავიანთ თავის მო-რთვასა.

ქალაქის ახლოს არის იმათთჳს სწორე და დიდი მინდორი, სადაც ყოველი ნაწილი ჯარისა ატარებს ხან-კვირაში ოროლს დღეს; იქ იწურთნებიან ისინი ხან-ჯლების და შუბების ხმარებაში; ესვრიან ნიშნებს დამბაჩას და თოფსა. თვეში ერთხელ მეფე თავის ძმით დაესწრობა ხოლმე და ვინც აღმოჩნდება საჩუქრის ღირსი, იმათ დასაჩუქრებს ხოლმე. საჩუქარნი იქნები-ან: ბრასლეტი, საყურეები, ბეჭდები და სხჳნი ძვირფა-სნი ნივთნი. რომელთაცა ისინი, თუ იმათი სახლობანი ძვირფას საჩუქრად მიიღებენ ხოლმე. ქალები საჩუ-ქარ მიღებულნი აღასრულებენ თავიანთს სამსახურსა ისე, როგორც ევროპიის ლაშქარში სერჟანტები და სალდათის უფროსები. მეფის საჩუქრით არათუ ხდე-ბიან, არამედ უფრო გულს მოდგენით ცდილობენ წარმატებასა.

თითქმის არაოდეს არ დისჯიან ხოლმე იმათ. უპირ-ველესი სასჯელი არის: სამსახურიდამ დათხოვნა, დიდის ანუ ცოტას ხნით, სამთვეზე კი მეტს არას დროს არ დაითხოვენ ხოლმე.

სიამის სამეფოს ჯარსა ჰყვანან უკეთესნი სპილონი, რომელთაცა მსგავსნი მთელს აღმოსავლეთში არ იპოვებიან. ესე სპილონი რამდენის წლის წინათ გაწურთნა ერთმა აფიცარმა, რომელიცა ეკუთვნოდა ანგლიის დასავლეთის—ინდიის საზოგადოებასა; სპი-ლონი, რომელნიცა არიან სიამის სამეფოს ჯარის ჴელქვეშით, ინდოეთის სპილოებზედ პატარები არიან, მაგრამ იმათზე ღონიერები და მარჯვენი არიან. მე-ომარნი სპილონი არიან რვაასნი, რომელთაცა ინა-

ზამენ სამის საგნისათჳს.

1, საომარის იარაღის სატარებლად.

2 მეფის სახლის კუთნილების სატარებლად.

და 3, საომრად.

საომარნი სპილონი შეადგენენ დივიზიას, ოთხასნი სპილონი, რომელნიცა საუცხოვოდ ომობენ, ასი ეკუთნის არტილერიას, იმათ ზურგებზედ აქჳთ გაკეთებული ზამბურაკები და სხუა სასროლი იარაღები. სროლას ძალიან უძლებენ. ასნი ეკუთნიან ქვევითს ჯარსა. ზურგებზედ იმათ აქჳთ ოთხკუთხიანის მსგავსი აპორატი, რომელშიაც იფარვიან ლაშქარნი და ამ ნაირათ არიან დაფარულნი თავის მტერებისაგან და უფრო მარჯვეთაც ესვრიან მათ. იმ სპილოთა თავი და თუ სხუა ადგილათ სავნებელი ადგილები აქუთ დაფარული ორის ჯავშნით, რომელსაც ტყვია ვერას ავნებს. როდესაც გაცხარდებიან ხოლმე, მაშინ არ იციან შიში, დაერევიან ხოლმე მტრის ჯარშია და მიურ-მოურევენ ხოლმე.

ორასნი სხუანიკი არიან რეზერვში და ხმარობენ ხოლმე დიდ გაჭირების დროს. მეფეს მკვირფასად მიაჩნია თავის სპილონი, ძალიან უფრთხილდება და მალ-მალ ანბობს, რომ ვითომც იმას უფრო კარგი ჯარი ჰყავს, ვიდრე იმის მეზიჯნავეთა, ამისთჳს რომ იმისი სპილონი უკეთესნი არიან, ამასთანვე ნასწავლნი და ღონიერნი არიან.

(ს. პეტ. ვედ. ნათ.) თ. გრ. ჯავახის-შჳლი.

## ახალი ამბავი.

აი რასა ჰსწერენ უკანასკნელ გაზეთებში: არიან მრავალნი კაცნი, რომელთაცა ჰსჯერავთ, რომ კუ-

დიანი ვარსკვლავი უნდა გამოჩნდეს 13 ივნისს ამა 1857 წელსა, და ჰგონებენ ვითომც უნდა მოხდეს დასასრული ქვეყნისა. გერმანიის საჴელმწიფოს მსწავლულნი გვიმტკიცებენ, რომ კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც ეწოდება იული-ცეზარი და რომელსაც ახლა მოელიან, გააპობს ორად ჩუენსა ხმელეთსა, ვითარცა ვაშლსა. ამერიკის ვარსკვლავთ-მრიცხველნი გვაშინებენ კუდიან-ვარსკვლავის კუდითა, რომელიცა კიდეც გამოჩენილა პანამის მხარეზე. პარიჟში ამ საგანზე დიდი აღრეულებაა ხალხში. ვარსკვლავთ-მრიცხველი არაგო, აქამდინაც დაამშვიდებდა ხალხსა, თავისის დამტკიცებით მაგრამ, რადგანაც ვარსკვლავთ მრიცხველი ბაბინე იზახის, რომ კუდიანი ვარსკვლავი არცა თუ არსებობს და თუ არსებობს ქვეყანის მოკარებაც არ შეუძლიან. უკეთუ განიზრახავს ბულვარზედ გასეირნებას, მობრძანდეს და გვგონია რომ მცირე წლოვან ყმაწვილმაც ჴელისკვრით გასტყორცნოსო. ესე ხუმრობანი არაფერს არას გვიმტკიცებენ და უკეთუ ვარსკვლავთ-მრიცხველი ლევერიე არ დაამშვიდებს თავისის დამტკიცებით ხალხს, უეჭველად ადვე-მიცემა გაჭირებში შესუსტდება.

ათასი წლის წინათ ამ გვარს საგანს გონია ჩუენი წინაპარნი ესრეთ გულგრილად არ უყურებდენ, სოფლის დასასრულის მოახლოვებასა, როგორც ჩუენ, რომელნიცა ყურადღებას არცკი მივაქცევთ და ყოველნი ჩუენ საქმეს ვასრულებთ უზრუნველად. მართლად რომ არა რაჲ მიზეზი არა აქუს ჯერეთ სოფლის დასრულებასა. ვნახოთ რა იქნება 13 ივნისს!

ვ.

# რედაქციისაგან.

რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა «ცისკარი» შეუდგა შუენიერის ქართულის პოემის «ვეფხვის ტყაოსნის» დაბეჭდვასა, რომელსაცა დაწყებაში ჩაურთევით სურათი მთხუზველისა შოთა რუსთაველისა, გადმოღებული ნამდვილით ჯუარის მონასტერითგან, რომელიცა იმყოფება იერუსალიმში და სადაცა დაფლულ არს ქართველთა პოეტი. იმ სურათის შემდგომს იქნება ცხოვრების აღწერა რუსთაველისა, მხოლოდ ეს არის, რომ წიგნი უნდა დაიბეჭდოს, რიცხჳსამებრ ამა წიგნის მსყიდველის მსურველთა. ამისთჳს ვითხოვთ, რათა გამოუცხადებდნენ უკალნი მსურველნი რედაქციასა და პირველადვე წარმოადგენდნენ შესახვედრს ფასსა, რომ თავის დროს გავუგზავნოთ. ფასი თჳთოეულის წიგნისა იქნება სამი მანეთი თეთრი ფული. უკეთუ სყიდვის მსურველნი არ განუცხადებენ სურვილსა აგვისტოს პირველამდენ რედაქციას, მაშინ მოტევებას ვითხოვთ მათგან, რომელნიცა მოგუმართვენ წიგნის გამოცემისჟამს, რათა იყიდონ წიგნი, გარნა თხოვნა მათი შესაძლებელ არა არს იყოს აღსრულებულ, ვინაჲთგან წიგნები, როგორც ზემოთ ვსთქჳთ, იქნებიან დაბეჭდილ რიცხჳსამებრ მსურველთა.

რ.